ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, ხაზდივნის—10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი
16
ივნისი
1934 წ.
№ 138 (3994)

დღეს ნომერში

- — იაპონია, მიუხედავად კურამოტოს აღმოჩენისა, წინანდებურად ბრალს სდებს ნანკინის მთავრობას.
- — ლატვია და ესტონეთი უარს ამბობენ სამხედრო ვალების მორიგი შესატანის გადახდაზე.
- — სპარსეთის შაჰი თურქეთში.
- — მოლაპარაკება მუსოლინისა და ჰიტლერის შორის.
- — ვარშავაში გებელსის ჩასვლამ გამოიწვია მუშათა ანტიფაშისტური დემონსტრაციები.
- — ინგლისელ მოქალაქე გერმან ბრაუნის თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (ფინეთში) თანამშრომლებზე.
- — მოჰკლეს პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პერაცკი.
- — მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 13 ივნისს შესრულებული იყო 82,7 პროცენტით.

კარგად ვაშენოთ გზები და კულტურულად მოვუაროთ მათ

1933 წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 75 ათასი ავტომობილი. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის ავტომობილების რაოდენობა უნდა გადიდდეს 580 ათასამდე. ჩვენი ქვეყნის საერთო საგზაო ქსელი გადიდდება 210.000 კილომეტრით, იმ თვალსაჩინო მშენებლობის ჩაუთვლელად, რომელიც წარმოებს და შემდეგშიც იწარმოებს ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

ასეთია პარტიის მე-17 ყრილობის დირექტივა ავტოგზის ტრანსპორტის დარგში. ამ დირექტივის შესრულება ნიშნავს—ძირითადად მოახდინო უგზოობის ლიკვიდაცია. ამ დირექტივის შესრულება ნიშნავს—გაადიდო ავტოგზის ტრანსპორტის ხვედრითი წონა ტვირთზიდვაში, ყოველწლიურად დაზოგო სახალხო მეურნეობაში მრავალი ასეული მილიონი მანეთი და გააძლიერო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი.

მიუხედავად საგზაო მშენებლობის პრაქტიკაში არსებული დეფექტებისა (საგზაო ორგანიზაციები ჯერ ისევ აგვიანებენ პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენას, ნელა, ძვირად და არასაკმაოდ კარგად აშენებენ), ჩვენმა ქვეყანამ აქაც საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ახლანდელი მოსკოვის ოლქის ფარგლებში რევოლუციის წინა 47 წლის მანძილზე გაყვანილ იქნა 1.504 კილომეტრი გზა, ხოლო პირველი ხუთწლედის განმავლობაში 6.256 კილომეტრი. ან გორკის მხარეში: 248 კილომეტრი—50 წლის განმავლობაში ცარიზმის დროს და 17.583 კილომეტრი,—საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მაგრამ საგზაო მშენებლობის ტემპები ჯერ ისევ ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს.

უნდა ვაშენოთ მეტი გზები—ეს უდაოა და ეს ახლა ყველას ესმის. უნდა ვაშენოთ მტკიცე, კარგი გზები, უნდა ვაშენოთ იაფად—ამისათვის უნდა იბრძოლოს ყველამ, დაწყებული ხელმძღვანელი საგზაო ორგანიზაციებით და გათავებული კოლმეურნეობებით. მაგრამ მარტო გზების ქსელის გადიდებით როდი ხორციელდება პარტიის მე-17 ყრილობის დირექტივა. **უნდა ვისწავლოთ გაყვანილი გზების მართებულად ექსპლოატაცია, ვისწავლოთ მათი კულტურულად მოვლა. ამისკენ უნდა მივმართოთ როგორც საგზაო, ისე ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება.**

ამას წინათ საბჭოთა კონტროლის კომისიამ გამოიკვლია საგზაო მეურნეობა. „არსებული საგზაო ქსელის მოვლა და რემონტი სრულიად არადამაკმაყოფილებელია", — ამტკიცებს კომისია. მართლაც, ავიღოთ მოსკოვის ოლქი, რომელსაც დიდი მიღწევები აქვს ახალი გზების მშენებლობაში. აქ გზათა და ხელოვნურ ნაგებობათა (ხიდები, მილები) საგრძნობი ნაწილი ვერ გაუძლებს საავტომობილო მიმოსვლას. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მრავალ სხვა მხარესა და ოლქში საგრძნობლად უფრო ცუდი მდგომარეობაა? ამას არ უარყოფენ საგზაო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც. ასე, მაგ., რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის გზატრანსის მთავარ სამმართველოს უფროსი ადასტურებს, რომ „ახლად გაყვანილი ან ხელ ახლად შეკეთებული გზები ხშირად შემდეგი სეზონისთვის გაუვალი ხდება".

სავსებით ცხადია, რომ გზატრანსის ცენტრალური სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ, მცირე ყურადღებას აქცევენ მშენებლობის ხარისხს და უფრო ნაკლებ ყურადღებას—გზების მოვლას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ შევძელით საგზაო მშენებლობაში აქტიურად ჩაგვება კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მილიონები. მოწინავე კოლმეურნეებს უკვე ესმით, თუ რა როლს ასრულებს კარგი გზა კოლმეურნეობის განმტკიცებაში. კოლმეურნეობის შეძლებული კულტურული ცხოვრება კარგ კულტურულ გზებსაც გულისხმობს. ჩუვაშიის ავტ. ს.ს. რესპუბლიკის კოლმეურნეებმა ეს **საქმით გვიჩვენეს.** ეს რესპუბლიკა წლითი-წლობით გადაჭარბებით ასრულებს საგზაო მშენებლობის გეგმას. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა გზების მშენებლობასა და რემონტში აქ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. მაგრამ ჩუვაშიის კოლმეურნეთა გამოცდილების დიდი მნიშვნელობა მარტო ეს როდია. მთავარია—და ამას, სამწუხაროდ, დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ — **მზრუნველობითი დამოკიდებულება გაყვანილ გზებისადმი, მათი კულტურულად შენახვა, ყოველდღიური მეურნეობრივი მოვლა.** მკითხველებს ეხსომებათ, თუ რა ოვაციებს გამოსთქვამდნენ ყარაყუმის შარშანდელი საავტომობილო გადარბენის მონაწილენი ჩუვაშიის გზების შესახებ. გაიარეთ ამ გზებზე და თქვენ დაინახავთ, თუ რა მზრუნველობით უვლიან კოლმეურნეები გზებს და ხიდებს. თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ავსებენ ყოველ ორმოს, თუ როგორ ასწორებენ სულ მცირე დეფექტს ხელოვნურ ნაგებობებში. თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ამწვანებენ ძირითად მაგისტრალებს. ყველაფერი ეს ხდება, გარდა უკვე ზემოთ აღნიშნულისა, იმიტომაც, რომ, აქ **ლიკვიდირებულია გზების უპატრონობა, ლიკვიდირებულია გაუპიროვნება.** გზის თვითეული კილომეტრი, თვითეული ხიდი მიმაგრებულია განსაზღვრულ კოლმეურნეობაზე, ერთპიროვნულ მეურნეთა განსაზღვრულ ჯგუფზე (ათკომლეული). საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სამ.-სატ. სადგურებში შექმნილია სარემონტო ბრიგადები, ისინი თვალყურს ადევნებენ თავის უბნებს, სანიმუშოდ უვლიან მათ, უბნებზე მოიპოვება სახელდახელო რემონტისათვის აუცილებელი უმარტივესი ინვენტარი, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მისი ნაწილი დამზადებულია ადგილობრივი საშუალებებით.

ჩუვაშიის ა. ს. ს. რესპუბლიკის გამოცდილება უკვე გადააქვთ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, მხარეებს და ოლქებსაც. მაგალითად, ციმბირის და ყაზახსტანის მთელ რიგ რაიონებში საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა და კოლმეურნეობებმა მიიმაგრეს გზის განსაზღვრული უბნები და ხიდები და ამ უბნებზე მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდა. უეჭველია, რომ ჩუვაშიის გამოცდილებას გამოიყენებენ სხვებიც. მაგრამ იმისათვის, რომ ეს საქმე ერთბაშად სათანადოდ იქნას დაყენებული, ხელმძღვანელი საგზაო ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ საბჭოთა მეურნეობებს, სამ.-სატრ. სადგურებს და კოლმეურნეობებს; უწინარეს ყოვლისა კი — **ტექნიკური კადრებით.** ჩვენში დღემდე ვერ წარმოუდგენიათ, რომ არა მარტო საგზაო მშენებლობა, არამედ გზების მოვლაც განსაზღვრულ ცოდნას მოითხოვს. უნდა იცოდე, როდის უნდა გაწმინდო წყალსაქცევი, რომ თავიდან აიცილო გზის წალეკვა, როდის მოაცილო ყინული ხიდების მახლობლად, როდის და როგორ მოაწყო ფარები ნამქრების თავიდან ასაცილებლად და სხვ. გზების მოვლისათვის საჭირო ცოდნის ეს მინიმუმი უნდა მივცეთ კოლმეურნეს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეს. ცალკეულმა პოლიტგანყოფილებებმა (მაგ. პოდბელსკაიას სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ) იკისრეს ინიციატივა სპეციალური კურსების მოწყობისა გზების მოვლისათვის კოლმეურნეთა მოსამზადებლად. ამ ინიციატივას მხარი უნდა დავუჭიროთ, ამგვარი კურსები უნდა უზრუნველვყოთ კვალიფიციური ხელმძღვანელებით და საჭირო ხელსაწყოებით. უკანასკნელი წლების მთელი გამოცდილება მჭერმეტყველურად ლაპარაკობს, რომ საკმარისია მხოლოდ დავანახოთ კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს კარგი გზების მთელი სარგებლობა როგორც მათთვის, ისე მთლიანად სახელმწიფოსათვის, საკმარისია მხოლოდ კარგად მოვაწყოთ ეს საქმე, მოვაგვაროთ ტექნიკური ხელმძღვანელობა—და სახელმწიფო ასიგნობანი საგზაო მშენებლობისათვის გადამრავლდება უდიდეს ადგილობრივ რესურსებზე. ამავე გზით უნდა ვიაროთ გზების კულტურულად დაცვის საქმეშიც. გზის დარგის გაძლიერებასთან ერთად, კადრებით და და მექანიზმებით საგზაო-საექსპლოატაციო უბნების განმტკიცებასთან ერთად (ეს საქმე ჩვენში მეტწილ ტრაქტებზე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული), საჭიროა დავაინტერესოთ გზების რიგიანი შენახვით თითონ კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ფართო მასები. საგზაო მშენებლობის დარგში რესპუბლიკებს, მხარეებს და ოლქებს შორის ამჟამად მიმდინარე შეჯიბრებამ ერთერთ ძირითად მაჩვენებლად უნდა შეიტანოს ვალდებულებანი **გზების რიგიანად შენახვის შესახებ.** მოაწყონ სოფლის საბჭოების, საბჭოთა მეურნეობების, სამ.-სატრ. სადგურების, კოლმეურნეობების და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეების შეჯიბრება გზის კულტურულ მოვლაზე, ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, მთელ ქვეყანას გააცნონ გზის მზრუნველობით მოვლის ორგანიზატორ-დამკვრელები—აი რა უნდა გააკეთონ შეჯიბრების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, ჩვენს დიად სამშობლოს, რომელმაც ააშენა მსხვილი, ტექნიკურად მოწინავე მრეწველობა, რომელმაც შექმნა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სასოფლო მეურნეობა, რომელმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჰაერის დაუფლებაში, უნდა ჰქონდეს კულტურული გზატკეცილები და ყამირი გზები. ეს კიდეც ექნება მას, ვინაიდან კარგ გზაში სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელი.

(„პრავდის" 15 ივნისის მოწინავე).

ოლქკომების, რაიკომების, ნაცრესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებს

კომკავშირის რაიკომების მდივნებს, „მსუბუქი კავალერიის" ხელმძღვანელებს და ჯგუფებს

მოსავლის აღების კამპანიის ვადაზე და უდანაკარგოდ ჩატარებაში პარტიისა და მთავრობისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, გავალებთ შეამოწმოთ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მზადყოფნა მოსავლის აღებისათვის:

1. შეამოწმოთ მოსავლის ასაღები მანქანების და სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის—კომბაინების, სალეწი მანქანების, „ლობოგრეიკების", ძნაშემკვრელების და სხვ. რემონტის დამთავრება პარტიის და მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში. დააწესეთ კომკავშირული კონტროლი საწვავი და საცხი მასალის და სათადარიგო ნაწილების შემოტანასა და განაწილებაზე.
2. შეამოწმოთ მოსავლის ამღები კადრების თავის დროზე მომზადება, მართებული განაწილება და მანქანების მიმაგრება კომბაინერებზე, ტრაქტორისტებსა და სალეწ მანქანათა მემანქანეებზე.
3. შეამოწმოთ მოსავლის აღების გეგმების მართებული და თავის დროული შედგენა, მათი დაყვანა ბრიგადებამდე, ცალკეულ მუშებამდე და კოლმეურნეებამდე. მოსავლის ასაღები უბნების და ინვენტარის მიმაგრება ბრიგადებზე.
4. შეამოწმოთ, თუ რამდენად ფხიზლად იცავენ საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო მოსავალს დატაცებისა და დანაკარგისაგან ძირზე, აღებისა და გადატანის დროს, გამოყოფილი არიან თუ არა საუკეთესო კომკავშირლები, შემოწმებული კოლმეურნეები დარაჯებად, შემომვლელებად, მწონავებად, მეურმეებად და აღმრიცხველებად.

ვთვლით რა მოსავლის აღების კამპანიისათვის მზადყოფნის შემოწმებას კომკავშირული ორგანიზაციების და „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფების პირველი რიგის ამოცანად, მოვითხოვთ კომიტეტების მდივანთა პირადი ხელმძღვანელობის შემოწმების ოპერატიულ ჩატარებას ხელმძღვანელი აქტივის შემოწმებით და ადგილობრივ გაგზავნით დახმარების გასაწევად შემოწმების გაშლაში, კონტროლის დასაწესებლად იმაზე, თუ როგორ ხორციელდება პარტიის ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილება საბჭოთა მეურნეობებში მოსავლის აღების შესახებ.

სა.კ.ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის მდივანი
კოსარევი

დღეს, ივნისის 16-ს დღის, 12 საათზე შესდგება
ს.ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს.ს. ცაკის წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ს.ს. ცაკის მდივანი თ. ჟღენტი

თათბირი

სოფლად პარტმუშაობის გარდაქმნის შესახებ

(საქ. კომპ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში)

15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის სხდომათა დარბაზში, ამხ. **ლ. ბერიას** თავმჯდომარეობით, გაიხსნა პარტიული თათბირი სოფლად პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხზე.

თათბირს ესწრებიან ცალკეულ კოლმეურნეობათა პარტორგები და პარტკომების მდივნები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა და პარტიის რაიკომების წარმომადგენლები.

ინფორმაციით სოფლად პარტორგანიზაციების გარდაქმნის მსვლელობის შესახებ გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **დოლიძე** — ჯუმათის კოლმეურნეობის (ოზურგეთის რაიონი) პარტკომის მდივანი, **ულენტი** — ოზურგეთის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, **ორაგველიძე**, შუხუთის კოლმეურნეობის (ლანჩხუთის რაიონი) პარტორგანიზატორი, **ცხვარაძე** — ლანჩხუთის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, **რამიშვილი** —ლანჩხუთის რაიკომის მდივანი, **ხალილოვი**, ბორჩალოს რაიონის ორჯონიკიძის სახელ. კოლმეურნეობიდან, **ახუნდოვი** — ბორჩალოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებიდან **ალი მადატოვი** — ბორჩალოს რაიკომის მდივანი და **რამიშვილი** — ლაგოდეხის რაიკომის მდივნის მოადგილე.

გარდა ამისა, თათბირზე გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები, რომლებმაც ჩაატარეს სოფლად პარტორგანიზაციების გარდაქმნის გამოკვლევა: **ბოკუჩავა** საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი, **ჰელაძე** საქართველოს მიწსახკომის პოლიტსექტორის ინსტრუქტორი **მიქელიძე** — საქ. მიწსახკომის პოლიტსექტორის ინსტრუქტორი და **კოშაევი** საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი.

თათბირის მეორე სხდომა შესდგება დღეს, დილის ათ საათზე.

თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებზე ფინეთში

ჰელსინგფორსი, 14 ივნისი. დღეს დილის თერთმეტის ნახევარზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამოცხადდა უცნობი მოქალაქე. მან მოითხოვა შეხვედრა სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. შტეინთან, ან საქმეთა რწმუნებულთან. მორიგე კურიერი შეეცადა გამოერკვია ვიზიტის მიზანი. ამის საპასუხოდ უცნობმა ორჯერ გაისროლა. ერთერთი გასროლით დასჭრა სრულუფლებიან წარმომადგენლობის კურიერი ეიმანი. შემდეგ თავდამსხმელი შევარდა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელთა ერთერთ ბინაში, რომელიც სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაშია. იგი კვლავ ესროდა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებს, რომელნიც ცდილობდენ მის დაჭერას. თავდამსხმელი დააპატიმრეს და გადასცეს პოლიციას. (ადს).

გერმან ვილიამ ბრაუნი

ლონდონი, 14 ივნისი. „ივნინგ ნიუსის" ჰელსინგფორსელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისელი გერმან ვილიამ ბრაუნი დღეს შევიდა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში (ჰელსინგფორსში), იძრო რევოლვერი და ასტეხა სროლა.

გაჩხრიკეს სახლი, სადაც ცხოვრობს ბრაუნი. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა წერილი, რომელშიც ბრაუნი თავდასხმას ხსნის „პოლიტიკური მიზეზებით". წერილი ამჟამად ფინეთის პოლიტიკური პოლიციის ხელშია. თავდასხმის შესახებ აცნობეს ინგლისის ელჩს ჰელსინგფორსში.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრაუნი დაიბადა პეტერბურგში 1909 წელს, სწავლობდა ინგლისის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ ცხოვრობდა ლენინგრადსა და ჰელსინგფორსში.

რეიტერის სააგენტოს ჰელსინგფორსელი კორესპონდენტის ცნობით, ბრაუნმა იმის შემდეგ, რაც მას უარი უთხრეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან შეხვედრაზე, დაახლოებით 20-ჯერ ესროლა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებს, ხოლო შემდეგ თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა. (ადს).

ჰელსინგფორსში მომხდარი თავდასხმის გარშემო

ჰელსინგფორსი, 14 ივნისი. ჰელსინგფორსში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმის ხასიათი მოწმობს, რომ თავდამსხმელს განზრახული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ან სხვა ოფიციალური წარმომადგენლების მოკვლა. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მომხდარ თავდასხმის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს. რამდენიმე წუთის შემდეგ სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში მოვიდა პოლიციელთა რაზმი, რომელსაც სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა გადასცეს მათ მიერ დაპატიმრებული ბრაუნი. წინასწარი ცნობებით, თავდამსხმელი ინგლისის ქვეშევრდომია, რომელიც ამ ბოლო დროს მუდმივად ცხოვრობდა ჰელსინგფორსში. ბრაუნი 25 წლისაა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საქმეთა რწმუნებულმა ამხ. პოზდნიაკოვმა მომხდარი თავდასხმის შესახებ სათანადო მიმართვა გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოთქვა მწუხარება.

ჰელსინგფორსი, 14 ივნისი. დღეს ნაშუადღევს სრულუფლებიან წარმომადგენლობას ეწვია საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური კონსული, რომელმაც მწუხარება გამოთქვა სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლებზე მომხდარი თავდასხმის გამო. (ადს).

თავდასხმა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე

ვარშავა, 15 ივნისი. პოლონეთის სააგენტო იტყობინება: „დღეს 15 საათსა და 30 წუთზე მოხდა თავდასხმა შინაგან საქმეთა მინისტრ პერაცკიზე იმ მომენტში, როდესაც მინისტრი შედიოდა სახლში ფოკსოლის ქუჩაზე. თავდამსხმელმა მინისტრს ხამჯერ ესროლა რევოლვერი და თავში დაჭრა.

მინისტრის მდგომარეობა მძიმეა". (ადს).

ვარშავა, 15 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრ პერაცკიზე თავდასხმა ორმა პირმა მოახდინა; მათ რამდენჯერმე ესროლეს რევოლვერი მინისტრს და გაიქცნენ. პოლიციელი შეეცადა შეეპყრო ერთერთი მათგანი, მაგრამ ამ უკანასკნელმა რევოლვერი ესროლა პოლიციელს, დასჭრა იგი და მიიმალა. პოლიციამ ალყა შემოარტყა მთელ კვარტალს იმ ადგილის მახლობლად, სადაც თავდასხმა მოხდა.

პერაცკი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, თავდამსხმელნი შეპყრობილი არიან. აღნიშნავენ, რომ თავდასხმა უეჭველად პოლიტიკური მოტივებით მოხდა. (ადს).

გებელსის დარბაზობა პილსუდსკისთან.

ვარშავა, 15 ივნისი. „ვეჩერ ვარშავსკი" თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ცნობას, რომ „გებელსის გუშინდელმა დარბაზობამ პილსუდსკისთან დიდი ინტერესი გამოიწვია პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში. — როგორც ხმები დადის, — წერს გაზეთი, — გებელსი სურვილს გამოთქვამდა, რათა ეს შეხვედრა რაც შეიძლება უახლოეს დროში მომხდარიყო. გებელსმა ამ წინადადებაზე კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო. ეს გამოწვეულია პილსუდსკის ჯანმრთელობის მდგომარეობით და სხვა გარემოებებით. (ადს).

გებელსი კრაკოვში გაფრინდა.

ვარშავა, 15 ივნისი. დღეს დილით გებელსი და მასთან მყოფი პირნი კრაკოვში გაფრინდენ. (ადს)

სპარსეთის შაჰი თურქეთში

ანკარა, 14 ივნისი. **მუსტაფა ქემალ-ფაშამ** და სპარსეთის შაჰმა **რიზა შაჰ პეხლევიმ**, რომელიც მოგზაურობს თურქეთში, ერთმანეთს გაუგზავნეს დეპეშები.

გუშინ 10 საათსა და 30 წუთზე რიზა შაჰ პეხლევი ერზერუმიდან ჩავიდა ბაიბურთში. 3 საათზე იგი მივიდა გუმუშ—ხანში, სადაც ღამე გაათია. დღეს დილით სპარსეთის შაჰმა განაგრძო თავისი გზა და 10 საათსა და 30 წუთზე ჩავიდა ტრაპიზონში, სადაც მას შეხვდენ საგარეო საქმეთა მინისტრი და პრეზიდენტის გენერალური მდივანი. ტრაპიზონიდან შაჰი თავისი ამალით დღეს 11 საათზე გაემგზავრება სამსუნში კრეისერ „იავუზით", მთელი თურქეთის ფლოტის თანხლებით..

შაჰის თურქეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სპარსული გაზეთი წერს:

„დიდი ხანი არაა, რაც ეს ორი ქვეყანა (სპარსეთი და თურქეთი) აღარ წარმოადგენს სათამაშოს ევროპის იმპერიალიზმის ხელში, რომელიც ახორციელებდა ცნობილ ლოზუნგს „დაანაწილე და იბატონე". გაზეთი აღნიშნავს დამოუკიდებელი თურქეთის განმტკიცებას და გაძლიერებას უკანასკნელ წლებში, პროგრესს და ნაციონალური გრძნობების გაღვიძებას სპარსეთში და იმ ფაქტის დიდ მნიშვნელობას, რომ სპარსელებმა და თურქებმა შეიგნეს ურთიერთ მხარის დაჭერის აუცილებლობა. გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ მუსტაფა ქემალ-ფაშა სპარსეთის შაჰის დარბაზობას უპასუხებს იმით, რომ თავის მხრივ ეწვევა სპარსეთს. გაზეთი აცხადებს, რომ მუსტაფა ქემალ-ფაშის და რიზა შაჰ პეხლევის შეხვედრის შედეგები „საგრძნობლად გადააჭარბებს ორივე ქვეყნის პატრიოტების და ნაციონალისტების იმედებს" (ადს).

მოძრაობა ამხ. ტელმანის განთავისუფლებისათვის

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. ამერიკის შეერთ. შტატების ყველა დიდ ქალაქში გერმანიის საკონსულოებთან მუშათა რევოლუციურმა ორგანიზაციებმა და გონებრივი შრომის მუშაკთა ორგანიზაციებმა დააწესეს პიკეტები, ისინი მოითხოვდენ ტელმანის და სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას. ჩიკაგოში დააპატიმრეს პიკეტებზე მდგომი 12 კაცი. ბევრ მათგანს სცემეს. ბოსტონში დააპატიმრეს ორი კაცი.

მრეწველობის აღმდგენ ადმინისტრაციის სამეთვალყურეო კომისიის მეთაურმა **დაროუმ**, ცნობილმა მწერალმა სინკლერ **ლუისმა**, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის ელჩს ამერიკის შეერთ. შტატებში **ლიუტერს** და მოითხოვეს გერმანიის საპატიმროებში გამომწყვდეულ პოლიტპატიმართა განთავისუფლება. (ადს).

გებელსი ვარშავაში

ვარშავა, 14 ივნისი. გუშინ, **გებელსის** ჩამოსვლის დღეს, მობილიზებულ იქნა მთელი პოლიცია. სიფრთხილისათვის გამოცხადებული იყო, რომ **გებელსი** მოფრინდება 4 საათზე ოკენცის აეროდრომზე, მაშინ როცა ნამდვილად გებელსი მოფრინდა 3 საათზე მოკოტოვის აეროდრომზე. მუშათა რაიონები, მოედნები, გერმანიის საელჩოს რაიონი, აგრეთვე რაიონი, სადაც გებელსი აკეთებდა მოხსენებებს, ალყაშემორტყმული იყო პოლიციელებით. ქალაქის ცენტრში პარკები მთელ დღეს დაკეტილი იყო, რათა არ დაეშვათ ხალხის შეგროვება. ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია გერმანიის საელჩო, რომელშიაც გაჩერდა გებელსი, უშვებდენ მხოლოდ იმ პირებს, რომელნიც წარადგენდენ საბუთებს ამ ქუჩაზე ცხოვრების შესახებ.

მთავრობის ყველა ღონისძიების მიუხედავად, მთელ რიგ ადგილებში გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაციები. დემონსტრანტები გარეკა პოლიციამ. დემონსტრაციებზე დაპატიმრებულნი ხმამაღლა წარმოთქვამდენ ლოზუნგებს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ტელმანის განთავისუფლებისათვის. მთელ რიგ რაიონებში გამოფენილ იქნა წითელი დროშები ანტიფაშისტური ლოზუნგებით. დიპლომატიურ უბნის მახლობლად, საღამოთი, როცა გერმანიის საელჩოში გაიმართა რაუტი, მოედანზე გადააგდეს მყრალი ყუმბარა. „ფოლკსცეიტუნგი" იუწყება, რომ მოხსენებიდან დაბრუნების დროს გებელსს და მის თანამხლებლებს მუშებმა უსტვინეს. მოქალაქის და ადამიანის უფლებების დამცველმა ლიგამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია გებელსის ვარშავაში მოწვევის წინააღმდეგ. გებელსის გუშინდელი მოხსენების საპასუხოდ ლიგა დღეს აწყობს მოხსენებას თემაზე „ნაციონალ - სოციალიზმის ექსპანსია პოლონეთის წინააღმდეგ" (ადს).

პილსუდსკი „შეუძლოდაა"

ვარშავა, 14 ივნისი. გუშინდელი დღის უდიდეს სენსაციას პოლიტიკურ წრეებში წარმოადგენდა „ისკრას" სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ „პილსუდსკი ცოტათი შეუძლოდაა, რის გამო მარშალი არ ტოვებს საწოლს".

ცნობის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ პილსუდსკის არ სურს გებელსის მიღება. სენსაცია მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ჯერ კიდევ გუშინ მთელი პრესა იუწყებოდა, რომ მოხდება პილსუდსკის შეხვედრა გებელსთან.

ცნობაში გებელსის ვარშავაში ყოფნის დღევანდელი პროგრამის შესახებ გათვალისწინებულია გებელსის მიერ „უცნობი ჯარისკაცის" საფლავის გვირგვინით შემკობა და საუზმე ბეკთან. პილსუდსკის მიერ გებელსის მიღებაზე არაფერია ნათქვამი (ადს).

კურამოტოს საქმის გარშემო

ტოკიო, 14 ივნისი. „ნიცი-ნიცი" კურამოტოს ცოლის განცხადების თანახმად აღნიშნავს, რომ კურამოტო სახლიდან წასვლის წინადღით ამბობდა, რომ განზრახვა აქვს მოიკლას თავი, მაგრამ არ მიმართავს არც იარაღს და არც შხამს, არამედ წავა მთებში". ამავე დროს გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ სიმბურენგოს სააგენტოს ნანკინელი კორესპონდენტის ცნობას:

„ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, — ნათქვამია ცნობაში, — ისარგებლეს კურამოტოს მოქანცვით და სულიერი წონასწორობის დაკარგვით და მიაღწიეს ჩინეთის პოლიტიკისათვის ხელსაყრელი განცხადების მიღებას მისგან".

გაზეთებს მოჰყავთ სუმას (იაპონიის გენერალური კონსული ნანკინში) და იაპონიის სხვა მოხელეების განცხადებანი. ისინი ადასტურებენ, რომ კურამოტო ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მის დაკითხვას და ამიტომ არ მოიპოვება ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ რა იყო მინების დინასტიის აკლდამების გამოქვაბულში მისი ყოფნის მიზეზი. (ადს).

იაპონია წინანდებურად ბრალს სდებს ნანკინს

ტოკიო, 14 ივნისი. სიმბურენგოს გადმოცემით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ კურამოტოს აღმოჩენით საკითხი სრულიადაც არ ამოიწურება და ნანკინის მთავრობას არ ეხსნება პასუხისმგებლობა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა ენერგიული პროტესტი განუცხადოს ნანკინს. ნანკინის მთავრობას ბრალი ედება იმაში, რომ ნანკინის ცენტრში შესაძლებელი გახდა იაპონიის საკონსულოს ერთერთი მოხელის უგზო-უკვლოდ დაკარგვა, ხოლო ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა მხოლოდ მეექვსე დღის აღმოაჩინეს იგი. ამისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ კურამოტო ასეთ საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ჩინეთის ხელისუფლებამ ბოდიში უნდა მოიხადოს, აანაზღაუროს ზარალი და მოგვცეს გარანტიები, რომ ასეთი შემთხვევები არ განმეორდება. თუ აღმოჩნდება, რომ კურამოტოს დაკარგვაში ბრალი მიუძღვის რომელიმე ორგანიზაციას, მაშინ ჩინეთის ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები და სასტიკად დასაჯოს დამნაშავენი (ადს).

კურამატომ ბოლომდე ვერ შეასრულა თავისი როლი

შანხაი, 14 ივნისი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, იაპონიის გენერალურმა კონსულმა ნანკინში **სუმამ** ინახულა ვან **ძინ-ვეი** და გადაუხადა მას მადლობა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც იხმარა ჩინეთის ხელისუფლებამ კურამოტოს ადგილმყოფობის აღმოჩენის მიზნით. იაპონიის საკონსულოს წარმომადგენლები გამოცხადდენ პოლიციის შტაბში და გარნიზონის შტაბში, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროში და თავისი მხრით გამოუცხადეს მათ მადლობა. გავრცელებულია აზრი, რომ იაპონელებმა შეძლეს განეხორციელებინათ ინციდენტთან დაკავშირებული ზოგიერთი გეგმა, მიუხედავად იმისა — იყო იგი წინასწარ მოფიქრებული თუ არა. მიუთითებენ ორ შესაძლებლობაზე, სახელდობრ: 1) მთელი საქმე წინასწარ იყო მომზადებული, მაგრამ კურამოტომ ბოლომდე ვერ შეასრულა თავისი როლი და მე-2) თუმცა ინციდენტი წინასწარ არ ყოფილა მომზადებული, მაგრამ კურამოტოს ადგილმყოფობის ნაადრევად აღმოჩენამ შეუძლებელი გახადა იაპონიის იმ გეგმების რეალიზაცია, რომლებიც დამყარებული იყო იმაზე, რომ კურამოტო გატაცებული ან მოკლულია (ადს).

ბეიპინი, 14 ივნისი. ჩინეთის წრეებში გამოთქვამენ აზრს, რომ კურამოტოს უგზო-უკვლოდ დაკარგვის საქმე მოაწყვეს იაპონიის აგენტებმა იმ მიზნით, რომ გაერთულებინათ ურთიერთობა იაპონიასა და ჩინეთს შორის იაპონიის იმპერიალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ უკანასკნელ წუთს კურამოტომ ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მისიას (ადს).

ციტრუსები

ცეცხლაურის მოწინავეთა რიგებში

(ცეცხლაური, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ცეცხლაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დამკვრელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს მეურნეობის სანიმუშოდ დაყენებისა და სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მეურნეობას გაშენებული აქვს მანდარინა 80 ჰექტარზე, იაპონური ხურმა 18 ჰექტ. პეკანი (ამერიკული ნიგოზი) 2 ჰექტ. ფუნდუკი 33 ჰექტ. ბამბუკი 6 ჰექტ. კრიპტომერია 6 ათასი ძირი.

ამ კულტურების სანიმუშოდ მოვლასა და საერთოდ მეურნეობის კეთილმოწყობაში მათ შეჯიბრებაში გამოიწვიეს **მუხაესტატეს** ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვან შესრულებისათვის გაიშალა მეურნეობის შიგნით რაიონებსა და ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრება. გაჩაღებულია ბრძოლა მეურნეობის უკეთესად მოვლისათვის და ყოველგვარ სიძნელეების დაძლევით [illegible] იჭერენ პირველობის ადგილს.

პლანტაციებში მათ მთლიანად შეიტანეს მინერალური სასუქი. პირველი თოხნა დამთავრდა ვადაზე ადრე, მეორე თოხნა დაწყებულია და 4 ივნისისათვის შესრულებული იყო 30 პროცენტი. აქ აღსანიშნავია ჯამების დიამეტრის გადიდება 1.5—2 მეტრამდე (ჯამში წრისებურად გაფხვიერებული, ფხვიერი მიწაა მანდარინის ძირის გარშემო), რაც სპეც. სათ. გეგმაში არ ყოფილა გათვალისწინებული. ამგვარად პლანტაციების 1-ლ სექტემბრამდე ოთხჯერ და ხუთჯერ გათოხნა უზრუნველყოფილია. **პლანტაციების რიგთა შორის პირველი გათიბვა - გასუფთავება** დამთავრებულია 25 მაისს, ეხლა მიმდინარეობს მეორე. იცელება და იწმინდება პლანტაცია რიგთა შორის ეკლებისგან, ჯაგებისგან **პლანტაციების პირველი შეწამვლა** ჩატარებულია. შეწამვლის გეგმა შეფარდებულია ადგილობრივ პირობებთან.

2 ივნისს დაიწყო სადრენაჟო არხების გაწმენდა. უნდა გაიწმინდოს 7 კილომეტრის მანძილზე.

ასევე დამკვრელური ტემპით დაამთავრეს **ქარსაცავების** (კრიპტომერიების) ძირების პირველი შემოთოხნა 6 კილომეტრის მანძილზე. ზამთარში მანდარინის ნარგავთა ყინვებისაგან დასაცავად გაცხოველებით ემზადებიან ჭილოფის და შესახვევ მასალის მოსამარაგებლად.

სათბურებში პირველი გახელვა დამთავრებულია და მიმდინარეობს მეორე.

გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა **საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.**

1 ივლისისათვის მზად იქნება 16 ოთახიანი აგურის შენობა. მუშა-მოსამსახურეებს გამოყოფილი აქვთ ინდივიდუალური საბოსტნე ფართობები 10 ჰექტარის რაოდენობით სულ 45 კაცისათვის. სწარმოებს სამზადისი კაპიტალურ აბანო-სამრეცხაოს და სასადილოს აგებისათვის.

მეურნეობის კეთილმოწყობა და საგზაო მშენებლობაც აქტუალურ საკითხად დგას დღის წესრიგში; წარმოებს მუშაობა გზების აღდგენა-გარემონტებისათვის და მეურნეობის დეკორატიულ ნარგავებით გამწვანებისათვის.

7 მაისს მათ **დაამუშავეს** ოჩხამურის ჩაის საბჭ. მეურნეობის დამკვრელების მიმართვა. სავსებით მოწონებულ იქნა ეს ახალი ინიციატივა და გამოიწვიეს რა მუხაესტატეს მეურნეობა სოცშეჯიბრებაში, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა შესასრულებლად ბოლშევიკურად დაირაზმნენ მუშა-მოსამსახურენი და აგროტექპერსონალი.

მეურნეობაში 4 რაიონია. როგორც რაიონი, ისე უბნები თავის მხრივ ერთმანეთს ეჯიბრებიან. ასე, მაგალითად, მეოთხე რაიონში **სოლომონიან ბაღდასის ბრიგადა** სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია მეორე რაიონში **ბანდაგიანის** ბრიგადასთან. მესამე რაიონის ქალთა ბრიგადა (ლ. ბერიძე) მეოთხე რაიონის ქალთა ბრიგადასთან (რამიშვილი), **ფ. მეხიძის** ბრიგადა **ა. ბურკაძის** ბრიგადასთან, ასე **ჭილვაძის ცეცხლაძისთან,** გზის მუშების ბრიგადა აგურის ქარხნის მუშებთან და ასე შემდეგ.

მეურნეობის დირექტორია **სანდრო ახობაძე,** უფრ. აგრონომია **სანდრო ჩიტაიშვილი,** პარტორგი **ლევან გოგინეიშვილი** და მუშკომი **არტემ კომახიძე.**

ვასო ჩაჩიბაია

კომკავშირელები ციტრუსებს სანიმუშოდ უვლიან

(ახალი ათონი, საკუთარი კორესპონდენტისაგან,

ფსირცხას საბჭოთა მეურნეობა (აფხაზეთი — ახალი ათონი) 1920 წელს მოეწყო. ამჟამად ეს მეურნეობა მძლავრ ბაზას წარმოადგენს ციტრუსოვან კულტურების განვითარებისათვის აფხაზეთში. მთავარ ამოცანად აქ დასახული აქვთ ბრძოლა ციტრუსოვან ნარგავთა რაოდენობისა და მოსავლიანობის გადიდებისთვის.

წელს მეურნეობაში მოაწყვეს დიდი სანერგე 13 ჰექტარის ფართობზე. სანერგეში მხოლოდ კომკავშირელები მუშაობენ. აქ ყურადღებას იქცევს განსაკუთრებული მზრუნველობით გასუფთავებული მანდარინის პატარა ნერგების კვლები, სადაც გახარებულია 254.000 ძირი მანდარინი. თვითეული კვალის გვერდით დასობილ მარგილზე ჩამოკიდებულია პატარა დაფა, რომელზედაც წერია ამ კვალზე მიმაგრებული კომკავშირლის სახელი და გვარი. კომკავშირლებმა ნამდვილად გვიჩვენეს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის ბოლშევიკური ნიმუშები.

ყველა კომკავშირელი დამაკმაყოფილებლად უვლის ჩაბარებულ კვლებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებულ მზრუნველობით ეკიდება ნერგებს და მათი კვლებიც აშკარად განირჩევიან სხვებისაგან. ასეთები არიან: კომკავშირელი **პეტროვა, ავჯიანი, არტემიევი** და სხვ.

მიმდინარე გაზაფხულზე აქ ჩატარდა ციტრუსოვანი ხეხილის პასპორტიზაცია. თვითეულ ნერგს აქვს თავისი ნომერი და მოკლე ბიოგრაფია.

მეურნეობაში განსაკუთრებით უყვართ **მანდარინის ხე № 561, რომელიც წლიურად 4—5 ათას ცალ ნაყოფს იძლევა.** თვითეული აგროტექნიკოსი, თვითეული მუშა ცდილობს ნარგავები თავის ნაკვეთზე გაუთანასწოროს მაღალ მოსავლიან ხეს.

სანერგეში მუშაობს 20 კომკავშირელი, რომლებმაც თავის დროზე და წესიერად ჩაატარეს თოხნა, დაწგვა და სასუქის შეტანა.

მ. მაჭავარიანი

ხიროტა ევროპის მდგომარეობის შესახებ

ტოკიო, 13 ივნისი. სიმბურენგოს სააგენტოს გადმოცემით, მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ხიროტამ მოხსენება გააკეთა კურამოტოს საქმის შესახებ. ტოკახაშის შეკითხვაზე — „როგორია მდგომარეობა ევროპაში" — ხიროტამ განაცხადა, რომ „ამას წინათ მიღებულ ცნობების მიხედვით, ეკონომიური მდგომარეობა ევროპაში, განსაკუთრებით იტალიაში, შემდეგ გერმანიასა და საფრანგეთში, კვლავ ცუდია". „გერმანია და იტალია, — განაცხადა ხიროტამ, —როგორც ჩანს, მიისწრაფიან დაახლოებისაკენ. აქეთკენვე მიისწრაფიან საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი". სააგენტოს სიტყვით, ხიროტამ შემდეგი აზრი გამოთქვა: „ევროპის სახელმწიფოები იმდენად ძლიერ არიან დატვირთული თავისი შინაგანი პოლიტიკური და ფინანსიური საკითხებით, რომ არ არის მოსალოდნელი მათი ჩაბმა პოლიტიკურ ბრძოლაში მათი ქვეყნების ფარგლების გარეშე" (ადს).

განიარაღების კონფერენციაზე

შესრულების კონტროლისა და გარანტიების კომიტეტის სხდომა.

ჟენევა, 13 ივნისი. („იზვესტიას" საკ. კორ.) შედგა შესრულების კონტროლისა და გარანტიების კომიტეტის პირველი სხდომა. საფრანგეთის დელეგაციამ მოითხოვა ისეთი სქემის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს კონვენციების და სახანდო გარანტიების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევებს. ამერიკის შეერთ. შტატების დელეგატმა ვილსონმა განაცხადა, რომ ამერიკა მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს გარანტიების შემუშავებაში. იაპონიის დელეგატმა განაცხადა, რომ არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის მუშაობაში, რამდენადაც კონტროლი და მასთან დაკავშირებული გარანტიები იაპონიისათვის „ახლანდელ პირობებში, როგორც ჩანს, მიუღებელია". საბჭოთა კავშირის დელეგატმა **შტეინმა** მხარი დაუჭირა საფრანგეთის დელეგაციის წინადადებას და განაცხადა, რომ მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის მუშაობაში. შტეინმა აღნიშნა, რომ იაპონიის დელეგატის განცხადება ვერ აძლევს კომიტეტს იმედს, რომ მისი მუშაობა საკეთილოდ დამთავრდება. მან მოაგონა დამსწრეთ მის მიერ გასული წლის ნოემბერში გაკეთებული განცხადება:

„საბჭოთა კავშირი მომხრეა ყველაზე უფრო ეფექტიური კონტროლის, მაგრამ იმ პირობით, რომ კონტროლი საყოველთაო იყოს და გამოყენებული იქნას საბჭოთა კავშირის მეზობელ ყველა სახელმწიფოსა და ყველა ოლქის მიმართ" (ადს).

ასი კონსერვატორის მანიფესტი

ინგლისში „ნაციონალური პარტიის" შექმნის პროექტი.

ლონდონი, 14 ივნისი. („პრავდის" საკ. კორესპ.). დღეს გამოქვეყნდა მანიფესტი საშინაო პოლიტიკის საკითხებზე, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის ასი კონსერვატორი წევრი. ეს მანიფესტი ფრიად მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ ფიქრობენ ხელისუფლების ორგანიზაციის პრობლემის გადაჭრას კონსერვატიული პარტიის ძირითადი ხელმძღვანელი წრეები. დოკუმენტის ცენტრალური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალური მთავრობა უნდა გახდეს „ბრიტანეთის პოლიტიკის მუდმივ იდეალად ყველა პრაქტიკულ მიზნისათვის". ამის საფუძველზე აღნიშნულია, რომ „მთავრობის მომხრეებმა უნდა უკუაგდონ იარლიკები: კონსერვატიული, ლიბერალური, ლეიბორისტული, რომლებიც განსხვავებას ქმნიან ცალკე პირებს შორის, მაგრამ არა იმ ადამიანთა პოლიტიკას შორის, რომელნიც მხარს უჭერენ მთავრობას".

ამგვარად, დოკუმენტი ოფიციალურად ადასტურებს, რომ წინანდელი განსხვავება ცალკე ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ისპობა და საბოლოოდ უნდა მოისპოს ახალ პირობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მანიფესტი აშკარად იწონებს მთლიანად „ნაციონალური პარტიის" შექმნის იდეას, შენიშნავს რა მხოლოდ, რომ ეს შეიძლება განხორციელდეს იმისდამიხედვით, რაც „ძველი პარტიების წარმომადგენელთა თანამშრომლობა გადაიქცევა ამომრჩევლების თვალსაზრისით სასურველ ჩვეულებად".

ამ დოკუმენტის გამოქვეყნება არ არის მოულოდნელი. მთავრობის წრეებში უკვე რამდენიმე თვეა ლაპარაკობენ ნაციონალური პარტიის შექმნის აუცილებლობაზე. მთავარი მიზანი, რომელსაც აქ ისახავენ,—ეს არის კონსერვატორთა მდგომარეობის განმტკიცება ახალ პირობებში და კერძოდ მომავალ საარჩევნო ბრძოლაში ლეიბორისტულ პარტიასთან, რომლისაგანაც კონსერვატორებმა კერძო არჩევნებში მთელი რიგი მძიმე დამარცხებები განიცადეს.

მანიფესტი აშკარად ხაზს უსვამს, რომ „ნაციონალური პარტიის" შექმნის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბურჟუაზიული ხელისუფლების უკეთესი დაცვა მძიმე საერთაშორისო და საშინაო პირობებში (ადს).

მუსოლინის პირველი საუბარი ჰიტლერთან

პარიზი, 14 ივნისი. („პრავდის" საკ. კორ.). აქ მიღებული ცნობებით, მუსოლინისა და ჰიტლერის პირველ საუბარს მათ გარდა არავინ დასწრებია. საუბარი ორ საათს გაგრძელდა. მოლაპარაკება გაგრძელდება ხვალ. (ადს).

მუშა ხიუტიგის სიკვდილით დასჯა

ბერლინი, 14 ივნისი. დღეს დილით ბერლინში პლიცენზეეს ციხის ეზოში სიკვდილით დასაჯეს 25 წლის მუშა ხიუტიგი. მას თებერვალში მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა მუშებსა და ნაციონალ - სოციალისტებს შორის შარლოტენბურგში მომხდარი შეტაკების საქმის გამო. ამ შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი მოიერიშე. ხიუტიგს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომაც კი არ ცნო დამტკიცებულად ბრალდება იმის შესახებ, რომ, მან ესროლა მოიერიშეს (ადს).

გერმანიამ გამოაცხადა საგარეო ვალების მორატორიუმი

ბერლინი, 14 ივნისი. რეიხსბანკის ცენტრალურ საბჭოს სხდომაზე რეიხსბანკის თავმჯდომარემ **შახტმა** გამოაქვეყნა გადაწყვეტილება გერმანიის საზღვარგარეთულ ვალდებულებათა ტრანსფერის სრული შეწყვეტის შესახებ 1 ივლისიდან ნახევარი წლით. ამასთან ერთად გერმანიის მთავრობამ აცნობა ბაზელის საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს და ყველა დაინტერესებულ მთავრობას, რომ, უცხოეთის ვალუტის უქონლობის გამო, 1 ივლისიდან შეწყდება დაუესის და იუნგის სესხთა ვალდებულებების გადასახდელთა ტრანსფერირება (საზღვარგარეთ გადაგზავნა უცხოეთის ვალუტით). კრედიტორებს შეუძლიათ გერმანიაში ჩარჩენილი ვალების პროცენტების ნაცვლად მიიღონ გრძელვადიანი ბონები, რომლებიც დაიფარება 1945 წლის 1 იანვრიდან. ამ ბონებზე გადახდილ იქნება 3 წლიური პროცენტი. კრედიტორებს, რომელნიც არ მოისურვებენ ამ ბონების მიღებას, შეუძლიათ მიიღონ ნაღდად გერმანიის ვალების პროცენტულ გადასახდელთა დასაფარავი თანხის 40 პროცენტი იმ პირობით, რომ ამ 40 პროცენტის გადახდა იწარმოებს რეიხსბანკში არსებული საზღვარგარეთული ვალუტის მიხედვით (ადს).

ბარტუს საუბარი იტალიის პარიზელ ელჩთან

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარტუმ მიიღო იტალიის პარიზელი ელჩი, რომელმაც დააზუსტა ჰიტლერისა და მუსოლინის მომავალი შეხვედრის აზრი და მნიშვნელობა. ბარტუსა და იტალიის ელჩის საუბრის დროს ლაპარაკი იყო აგრეთვე ავსტრიის მდგომარეობის შესახებ იმის გამო, რომ ძლიერდება ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა რისაც ინგლის-საფრანგეთი — იტალიის საერთო დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, ვერც საფრანგეთი და ვერც იტალია ვერ მოეკიდებიან ინდიფერენტულად (ადს).

ესტონეთი და ლატვია უარს ამბობენ სამხედრო ვალების მორიგი შესატანის გადახდაზე

ტალინი (რეველი), 14 ივნისი. ესტონეთის მთავრობამ აცნობა ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას რომ ესტონეთს არ შეუძლია გადაიხადოს 15 ივნისს მორიგი შესატანი თავისი სამხედრო ვალის დაფარვის ანგარიშში (ადს).

რიგა, 14 ივნისი. როგორც „იაუნაკას ზინიასი" იუწყება, ლატვიის მთავრობამ აცნობა ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას, რომ მას არ შეუძლია გადაიხადოს 15 ივნისს მორიგი შესატანი სამხედრო ვალების ანგარიშში. (ადს).

გავადიდოთ და განვამტკიცოთ მუდმივი მუშათა კადრები—ჩაის საბჭოთა მეურნეობებში

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობა მოწინავეა

(სალიბაური, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები წარმატებით შეასრულა. განვიხილოთ კონკრეტული მაჩვენებლები:

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა მაისში შესრულდა გადაჭარბებით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.660 კილოგრამისა მოიკრიფა 28.244 კილოგრამი. აქედან პირველ ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი 91 პროცენტს შეადგენს.

დამთავრებულია პირველი თოხნა მთელ ფართობზე — 170,72 ჰექტარზე აგროწესების მთლიანად დაცვით და 5 ივნისისთვის მეორე თოხნა ჩატარებულია 20 ჰექტარზე. ჩაის პლანტაციის რიგებს შორის გაცელვა 5 ივნისისათვის ჩატარებული იყო 11,75 ჰექტარზე.

გაყვანილია სადრენაჟო ახალი არხები 1294 მეტრზე და აღდგენილია ძველი 19010 მეტრზე წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებულ 18266 მეტრისა.

ჩაის გარდა მეურნეობას აქვს 28 ჰექტარი მანდარინი, 37 ჰექტარი — ტუნგო, 10 ჰექტარი ბამბუკი და სხვა.

მანდარინის პლანტაციის მიმდინარე რემონტი აღებული ვალდებულების თანახმად შესრულებულია მთლიანად 23,5 ჰექტარზე, შეწამვლა შეთეთრება — 22,5 ჰექტარზე (მთლიანი ვალდებულება). პირველი გათოხნა დამთავრებულია 27 მაისს. 5 ივნისიდან დაიწყო მეორე გათოხნა. გაცელვა მეორე 5 ივნისისათვის წარმოებულია 5 ჰექტარზე. მთლიანად დამთავრებულია შეწამვლა.

ასევე მოვლილია ტუნგოს პლანტაციაც. ტუნგოს მოშენება გეგმით გათვალისწინებული იყო 7 ჰექტარზე, შეჯიბრებით იკისრეს გაშენება 8,5 ჰექტარზე. ფაქტიურად კი ტუნგოს ახალი ნარგავები გაშენებული აქვთ 11,3 ჰექტ.

ამას გარდა, გაშენებულია ქარსაცავები ე. წ. ცოცხალი ღობე ტრიფოლიატებისაგან 3 კილომეტრის ნაცვლად 3,32 კილომეტრზე.

მეურნეობა დაყოფილია ორ აგრო - საწარმოო რაიონად; რაიონები კი 10 სამუშაო ნაკვეთად (პირველ რაიონში — 6, მეორეში — 4) პირველ რაიონს ხელმძღვანელობს აგრონომი შ. გეგეშიძე, მეორეს — გ. ჭინჭარაძე პირველ რაიონში საუკეთესო ბრიგადაა № 1, რომელსაც სამაგალითოდ ხელმძღვანელობს აგროტექნიკოსი თამარა ჩხარტიშვილი. მან კრეფაში თვიური გეგმა 27 მაისს გადაჭარბებით შეასრულა. თოხნა 16 ჰექტარზე 25 მაისს მთლიანად დაამთავრა, დაეხმარა № 3 (ლიზა ალექსანდრიადი) და № 4 (ბ. კალაძიანი) ბრიგადებს და გათოხნა ორთავეს 9 ჰექტარი. ასევე კარგად მუშაობს მეორე რაიონში ლადო კვაჭაძის ბრიგადა.

მეურნეობაში მუშაობს 230 მუშა, აქედან 83 მუშა შენარჩუნებულია, როგორც მუდმივი კადრი, მათ აქვთ ინდივიდუალური ბოსტნები. მოწყობილია საბავშვო ბაგა. მოწყობილია კლუბი, შეძენილია კინო აპარატი და სხვ.

მიმდინარეობს მეურნეობის გამწვანება, გზების კაპიტალური შეკეთება.

მეურნეობა აშენებს მანდარინის საწყობს 2688 კუბომეტრის მოცულობით, რომელიც დაიტევს 3 მილიონ ცალ მანდარინას. იგება ახალი სასადილო, აბანოსთან შენდება ცალკე სამრეცხაო. ყველა ეს სამუშაო დაწყებულია, მაგრამ მისი დროზე დამთავრებას აბრკოლებს სამშენებლო მასალის უქონლობა, საჭიროა 42 ათასი აგური, დროზე დაფინანსება.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. მანდარინის საწყობის მშენებლობა შეფერხებულია. ვერ მიიღეს პროექტი, რას უყურებს „საქართველოს ჩაი"?

მუშათა მუდმივი კადრის შენარჩუნებისათვის საყოფაცხოვრებო პირობებში მნიშვნელოვანია საბავშვო ბაგა. აქ საბავშვო ბაგა იტევს 30 ბავშვს. მეურნეობაში კი ბავშვები მეტია. ბაგა უნდა გაფართოვდეს. ამის ნაცვლად კი ტრესტის და ჯანსახკომის უკანასკნელ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მათი რიცხვის დაყვანა ოცამდე. ეს ხელს შეუწყობს მუშათა დენადობას. მეურნეობას შეგნებული აქვს ეს და ცდილობს გააფართოვოს ბაგა და საკითხს აყენებს 40 ბავშვისთვის საბავშვო ბაღის მოსაწყობად.

მეურნეობას ჰყავს ერთი ცხენი, ერთი უღელი ხარი, 2 საბარგო ავტომანქანა. ეს არის მთელი გამწევი ძალა. მსუბუქ ავტომანქანას თავი, რომ დავანებოთ ერთი ეტლი მაინც უნდა ჰყავდეს, მეურნეობას.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკა. ჩაის მწვანე ფოთლის გაშლა საჭკნობ სამქროში.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

იბრძვის მუდმივი მუშათა კადრებისათვის

(ოზურგეთი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები დროულად გამოეხმაურნენ ორჯამურელ დამკვრელთა მოწოდებას ჩაის სამუშაოთა ვადაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. ნასაკირალელებმა დამატებით იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები. მეურნეობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა შეძლეს სოცშეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ობიექტის განხორციელება, სახელდობრ, — **მეურნეობის უზრუნველყოფა მუშა-ხელით.**

სოცშეჯიბრებაში ჩაბმამდე მეურნეობაში ადგილი ჰქონდა მუშათა ხშირ ცვალებადობას. ახლა დენადობა **ალმოფხვრილია.**

ეს იმის შედეგია, რომ დირექციამ (დირექტორი **ვ. მხეიძე**) შექმნა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. გეგმის გარეშე მუდმივ მუშათა ოჯახებისათვის აშენეს ერთი ოთხ-ოთახიანი და ორი ორ-ოთახიანი სახლი. **ბარაკები გადააკეთეს ცალკე ოთახებად.** საგრძნობლად გააუმჯობესეს სადილის **ხარისხი.** მეურნეობის თვითეულ მუშას მოწყობილი აქვს **ინდივიდუალური ბოსტანი.** მუშებმა და სპეციალისტებმა თავიანთ სარგებლობაში დათესეს სიმინდი 85 ჰექტარზე.

მეურნეობის სასადილოსათვის ბოსტანი მოაწყვეს 2,1 ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებულ 1,5 ჰექტარის ნაცვლად. ამ ღონისძიებების გატარებამ უზრუნველყო მეურნეობაში მუდმივი მუშათა კადრის შენარჩუნება.

სპეციალისტებისათვის შენდება 12 ოთახიანი ბინა. ადგილობრივ ამზადებენ კირს და ამით ანხორციელებენ ნაკისრ ვალდებულებას მშენებლობის თვითღირებულების შემცირების დარგში.

კოლმეურნეები დიდი ხალისით მიდიან ამ მეურნეობაში სამუშაოდ. ეს იმით აიხსნება, რომ აქ მათთვის სათანადო პირობებია შექმნილი კვების, კულტურული და სამედიცინო მომსახურეობის მხრივ. სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ მოაწყვეს აფთიაქი, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო წამლეულობით.

ჩაის პლანტაციებს პირველი გათოხნა ვადაზე ადრე ჩაატარეს. მეორე გათოხნაც ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ დამთავრდეს 20 ივნისისათვის.

მეურნეობაში ახლად მისული კაცი ნათლად შეამჩნევს იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც ამჟამად ტარდება პლანტაციების გასაწმენდათ ქასრისა და ბარდისაგან. ალაგ-ალაგ არის ისეთი ნაკვეთი (სულ 20 ჰექტარი), რომელიც მთლიანად დაფარულია ქასრით. ასეთ პლანტაციებს კი არ თოხნიან, არამედ **ბარით ცლიან ქასრას ფესვებიანად,** აგროვებენ და წვავენ.

ამნაირი წესით ქასრა უკვე გაანადგურეს 7,5 ჰექტარზე. ბარდი ამოძირკეს 12 ჰექტარზე. „არც ერთი ძირი ქასრა და ბარდი ჩაის ბუჩქებში" — აი, რა ლოზუნგით იბრძვიან ახლა ნასაკირალის მეურნეობის მუშაკები.

თვითეულ საწარმოო ნაკვეთზე მიმაგრებულია მუდმივი ბრიგადა. ამ ბრიგადებში 39 გამოყოფილია ქვეჯგუფები (მკრეფავთა და მთოხნელთა). ფერდობზე გადაჭიმული პლანტაციები დაყოფილია ბოძებით, რომელზედაც აწერია ბრიგადის ნომერი, ბრიგადირის გვარი და სახელი და ფართობის რაოდენობა.

— : —

ამ მიღწევებთან ერთად მეურნეობას ახასიათებს სერიოზული ნაკლიც. ზოგიერთი ნაკისრი ვალდებულება დღემდე ქაღალდზეა დარჩენილი. უპირველესად ყოვლისა ჩაის ფოთლის კარგი ხარისხით ვერ დაიკვეხნიან მეურნეობის მუშაკები. ეს იმით აიხსნება, რომ მწვანე ფოთლის კრეფას მაისში **სათანადოთ ვერ უხელმძღვანელეს.**

არ წარმოებს სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამება. მუშკომის თავმჯდომარე ამხ. **შ. ნიკოლაიშვილი** ამ მხრივ უმოქმედობას იჩენს.

დირექცია ვალდებული იყო ჩაის ყველა სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობაზე დეკადური ცნობები ეგზავნება რესპუბლიკური ყურნალისათვის, მაგრამ 5 ივნისამდე ამ დარგში არაფერი იყო გაკეთებული.

— : —

ზემოხსენებული ფაქტები მოწმობენ, რომ ის რაც ამ მეურნეობაში გაკეთდა სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ მხოლოდ **პირველი ნაბიჯია.** ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მეურნეობის პარტორგანიზაციამ უპირველესად ყოვლისა უნდა იზრუნოს ფოთლის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებაზე, დანერგოს განუწყვეტელი კრეფა და მტკიცედ დაიცვას კრეფის აგროწესები. პლანტაციების დამუშავებისას ფართოდ გამოიყენოს მექანიზაცია, მყარ ნიადაგზე დააყენოს აღრიცხვა.

თ. კუნჭულია

გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები

ივნისის განმავლობაში ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა ჩაის ფაბრიკებს (საქართველოში) უნდა ჩააბარონ **1.114.200** კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

„საქართველოს ჩაის" ცნობით, 5 ივნისისათვის ამ რაოდენობიდან ჩაის ფაბრიკებს მიღებული ქონდათ მხოლოდ 129.768 კილოგრამი. შესრულებული იყო გეგმის მხოლოდ 11,6 პროც. (5 ივნისისათვის შესრულებული იყო გეგმის 4,8 პროც.

მწვანე ფოთლის კრეფის მხრივ ივნისში ყველაზე წინ მიდის წალენჯიხის საფაბრიკო რაიონი, რომელსაც 10 ივნისისათვის შესრულებული ჰქონდა გეგმის 36,2 პროც. დანარჩენ რაიონების უმეტეს ნაწილში ჩაის კრეფის ტემპები იმდენად დაბალია, რომ გეგმის ნახევრად შესრულებასაც კი ვერ უზრუნველყოფენ.

მაგალითად, აცანის საფაბრიკო რაიონს 10 ივნისისათვის შესრულებული ქონდა გეგმის მხოლოდ 4.3 პროც. (5 ივნისისათვის ამ რაიონში მოკრეფილი იყო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 1 პროც.), **ნიგვზიანისას — 7,2 პროც., ჩოხატაურისას — 8,2 პროც., მაღალ ეწერისას — 9,4, პროც., ოზურგეთისას — 9,7 პროც., კოდორისას — 8 პროც., ბობოყვათისას — 10 პროც.** და ა. შ.

ვალის საფაბრიკო რაიონიდან ივნისში ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ 10 ივნისისათვის არავითარი ცნობა არ იყო მიღებული.

ჩაის ფოთლის კრეფის ასეთი ტემპებით განგრძობა ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა ჩაის კრეფა თვითეულ მეურნეობაში, ბრიგადაში, ჯგუფში ისე იქნეს დაყენებული, რომ არც ერთი ყლორტი არ გაუხეშდეს — პირველ ხარისხის ჩაი იქნეს მთელი რაოდენობის არა ნაკლებ 90 პროცენტისა და ივნისის გეგმის შესრულებასთან ერთად მაისის გეგმის დანაკლისიც დაიფაროს.

[illegible] ჭურუხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველი უბნის ბრიგადირი ხულავა სწონის მოკრეფილ ჩაის მწვანე ფოთოლს.

ჩელუსკინელთა გადარჩენის მონაწილეთა დამატებითი დაჯილდოების შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ჩელუსკინელთა გადარჩენის მოწყობასა და ჩატარებაში და ექსპედიციის მეცნიერული მასალების შენარჩუნებაში განსაკუთრებული მონაწილეობისათვის **დაჯილდოვებულ იქნან:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1) სმირნოვი პ. ი.—ყინულისმჭრელი, „კრასინის" ექსპედიციის უფროსი. 2) პონომარიოვი პ. ა.—ყინულისმჭრელ „კრასინის" კაპიტანი. 3) კუნაკოვი ფ.ქ. თვითმფრინავ ს.„6—4"-ის უფროსი. 4) ვაგა ვასილი—გემ „სმოლენსკის" კაპიტანი.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1) სილოვი ე. ნ. ვანკარემის რაციის რადისტი. 2) შრადერი ლ. ნ.—უელენის სადგურის რადისტი. 3) ცაპალაინენი ტ. ხ.—ჩრდილოეთის კონცხის რადისტი. 4) სიმონოვი ს. ი.—ჩრდილოეთის კონცხის რაციის მექანიკოსი. 5) ნებოლსინი ა. ვ.—გაერთიანებულ სახპოლიტსამმართველოს ჯარების კამჩატკის სანაპირო რაზმის უფროსი. 6) პოგორელოვი ი. ვ.—გაერთიანებულ სახპოლიტსამმართველოს ჯარების კამჩატკის სანაპირო რაზმის უფროსი. 7) ანკინი ნ. ვ. ბორტ-მექანიკოსი და ვანკარემის აეროდრომის კომენდანტი. 8) ფარიხი ფ. ბ.—მფრინავი. 9) ბასეინი ფ. ი. ბორტ-მექანიკოსი. 10) კონკინი ე. მ. თვითმფრინავ „ა. ნ. ტ.—4"-ის პილოტი. 11) შილომოვი ფ. ა.—უელენის პოლარული სადგურის უფროსი. 12) ხვოროსტიანსკი ნ. ნ. ჩრდილოეთის კონცხის სადგურის მეტეოროლოგი და უელენის სადგურის უფროსის მოადგილე.

ს.ს.რ. კავშირის ცაკის სიგელებით:

1) კუროვი ნ. მ.—„ა.ნ.ტ.—2"-ის ბორტმექანიკოსი. 2) იაროვოი ა. მ.—ბაზის მექანიკოსი. 3) სკლიაროვი ა. ი.—ტექნიკოსი. 4) ევგენოვი ნ. ი.—ჩრდილოეთის მთავარ. საზღვაო გზის ჰიდროგრაფიულ სამმართველოს უფროსის მოადგილე. 5) საკულარი ნ. ა.—პროფესორი. 6) ნეპრიახინი.— გემ „ხაბაროვსკის" რადისტი. 7) კარიაგინი ი. ვ.—ჩელუსკინის კონცხის რადიო-ტექნიკოსი. 9) მიხაილოვი ა. ა.—დიქსონის კუნძულის სადგურის უფროსი. 10) ოსტალცევი ა. ი.—იუგორსკის ბოღაზის სადგურის უფროსი. 11) ბურუხინი ნ. ნ.—იუგორსკის ბოღაზის უფროსი რადიო-ტექნიკოსი. 12) ლევინსკი—წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის არხანგელსკის ტიმეს სახელობის სადგურის უფროსი. 13) ვირშევიჩი ე. ნ. რადისტი. 14) კრივდინი—ვანკარემის ფაქტორის გამგე.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი **ა. მედვედევი**

მოსკოვი, კრემლი.
1934 წლის 14 ივნისი.

აღვადგინოთ და განვამტკიცოთ დაფნის კულტურა

(აგროტექნიკური თათბირი ხონის რაიონში)

დაფნა ძვირფასი ტექნიკური სუბტროპიკული მცენარეა. ის განსაკუთრებით არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, რომლიდანაც ამ მცენარის ფოთოლს დიდი რაოდენობით გზავნიდა როგორც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებში ისე საზღვარგარეთაც.

უკანასკნელ ხანს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეანელეს ყურადღება ამ მცენარის მოვლა-გაშენებისადმი. დაფნის ფოთლის დამამზადებლებმაც ზერელედ ეკიდებოდნენ. მოსახლეობამაც იმდენად აიცრუა გული ამ კულტურისადმი, რომ ზოგან კულაკური ელემენტების აგიტაციის გავლენით გაჩეხეს კიდეც დაფნის პლანტაციები.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც თავისი დადგენილებით საზღვარი დაუდო დაფნის კულტურისადმი უყურადღებობას და დასახა კონკრეტული ზომები ამ კულტურის გავრცელებისათვის.

სწორედ ამ დადგენილებათა სარეალიზაციოდ მოიწვია მიწსახკომმა ხეთაში (ხონის რაიონი) აგროტექნიკური თათბირი, რომელსაც დასავლეთ საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ აგრეთვე პრაქტიკოსი სპეციალისტები და მეცნიერული მუშაკები.

თათბირზე გამოირკვა, რომ **დაფნის ნარგაობა სწორად არ არის აღრიცხული.** ოფიციალური ცნობით დაფნა გაშენებულია 880 ჰექტარზე, ფაქტიურად მას გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს. ქუთაისში მაგალითად დაფნა 22 ჰექტარზეა გაშენებული, ოფიციალური ცნობით კი ამ მცენარეს 10 ჰექტარი უჭირავს. ასეთივე მდგომარეობაა **ხონის, ლანჩხუთის** და სხვა რაიონებში.

გამოირკვა აგრეთვე, რომ **დაფნის პლანტაციები ბევრგან მოუვლელად არის მიტოვებული.** მიუხედავად გასული წლის სექტემბერში გამოცემულ კანონისა (დაფნის კულტურის დაცვის შესახებ), ამ ძვირფას მცენარეს ანადგურებს პირუტყვი, მას ჩეხენ და ძირკავენ.

დაფნისადმი ასეთი უყურადღებობა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ დაფნის ფოთლის დამამზადებელი ორგანიზაციები უსულგულოდ ეკიდებიან ჩამბარებლებს და როგორც წესი დიდი ხნით უგვიანებენ ანგარიშის გასწორებას.

მარტო ხეთის რაიონში დაფნის ფოთლის ჩამბარებლებს დღემდე ვერ მიუღიათ დამამზადებელ ორგანიზაციებისაგან (ბალნოსტანკავშირი) გასულ წელს ჩაბარებული ფოთლის ღირებულება 80.000 მანეთი. ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც.

ამ მდგომარეობას, დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაკთა უპასუხისმგებლობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო და დაფნის ფოთლის ჩამბარებლებს დაუყოვნებლივ გაუსწორდეს ანგარიში.

მოუწესრიგებელია დაფნის ფოთლის გადამუშავებაც. ადგილებზე დღემდე არამც თუ ფოთლის გადამამუშავებელი ქარხნები, არამედ წესიერად მოწყობილი სახმობი ფარდულებიც კი არ მოიპოვება. ფოთლის ხმობა წარმოებს აგრო-წესების დაცვის გარეშე, რაც ძალზე ამცირებს დაფნის ფოთლის **ხარისხს.**

არ არის შემუშავებული მტკიცე აგრო-წესები დაფნის მოვლა-მოშენებისათვის. დაფნის ნარგაობას გაუჩნდა და დიდ ზიანს აყენებენ მავნებლები, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილებზე არც საკმაო მოწყობილობა მოიპოვება და არც შხამების დოზებია დაწესებული.

საჭიროდ იქნა ცნობილი დაფნის კულტურების გავრცელება ჩაის პლანტაციებში, სადაც დაფნის მცენარე ქარსაცავადაც იქნება გამოყენებული.

როგორც თათბირზე გამოირკვა, დაფნა შეიძლება გაშენდეს, როგორც დათესვით, ისე გამრავლით და ნარგავის გადაწვენით.

თათბირმა მეცნიერულ მუშაკებს დაავალა დაფნის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლო აპარატურის შერჩევა და შხამების ნორმების დაწესება.

დაფნის პლანტაციების წესიერი გაშენებისათვის მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სეკატორის და ხელის ხერხის ხმარება.

თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე გამოცხადდეს კონკურსი დაფნის ფოთლის სახმობი ფარდულის პროექტის შემუშავებაზე.

თათბირმა გამოყო კომისია, სპეციალისტების შემადგენლობით, რომელსაც დაავალა თავისი მუშაობის შეჯამება და ბროშურად გამოცემა.

პრ. ცინცაძე.

არცერთი რაიმაღაზია კონკურსის გარეშე

როგორ მუშაობს გურჯაანის რაიმაღაზია

(გურჯაანი, საკ. კორესპონდენტისაგან).

გურჯაანის რაიმაღაზიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლისა და მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდების მხრით.

რაიმაღაზიის დირექტორმა ამხ. **ჟორა ოკინაშვილმა** თავიდანვე გადაუდებელ ამოცანად დაისახა ადგილობრივი მოთხოვნილებების მიხედვით ასორტიმენტის შერჩევა და ნამდვილი კულტურული ვაჭრობის გაშლა. ამას მან კიდეც მიაღწია. მაღაზია დაყოფილია სამ ჯგუფად, თვითეულ ჯგუფში საქონელი ლამაზად ალაგია, ისე, რომ მომხმარებელს შეუძლია უყუროს ყველა ნივთს, გასინჯოს და გაიგოს რა ფასად იყიდება. პირველ ჯგუფში მოთავსებულია ფართლეული, შეკერილი ტანსაცმელი და თავის მორთულობა, მეორე ჯგუფში—გალანტერეა, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი და პარფიუმერია, ხოლო მესამე ჯგუფში—ჭურჭელი, ავეჯი და სხვ. ჯგუფებს ცალკე ხელმძღვანელები ჰყავთ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჯგუფში საქონლის ბრუნვასა და გეგმების შესრულებაში.

ჯგუფის ხელმძღვანელთა შორის ენერგიული მუშაობით და მომხმარებელთა კულტურული მომსახურებით გამოირჩევიან კომკავშირლები—ამხ. **გოგი გოგიშვილი და სიკო ჩუგოშვილი.**

რაიმაღაზია დღიდან ვაჭრობის დაწყებისა გადაჭარბებით ასრულებს საქონლის ბრუნვის ყოველთვიურ გეგმებს. ასე მაგალითად, მეორე კვარტალის გეგმით აპრილის თვეში მაღაზიას უნდა გაესაღებია 61.500 მან. საქონელი, ფაქტიურად გასაღდა — 99.602 მან. მაისის გეგმით გათვალისწინებულ—60.500 მანეთის ნაცვლად გასაღებულია 65.108 მან.

პირველ კვარტალში შემოზიდულ 90.298 მან. საქონლიდან გაყიდულია 63.407 მან საქონელი. კვარტალის ბოლოს დარჩენილი საქონლის ღირებულება 64.000 მან. ნაცვლად, შემცირებულია 26,890 მანეთამდე. მეორე კვარტალში (აპრილი და მაისი) შემოზიდულია 133.191 მან. საქონელი, ფაქტიურად პირველ ორ თვეში გაყიდულია 99,602 მან. ნაშთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 64.000 მანეთისა, დაყვანილია 33,588 მანეთამდე.

რაიმაღაზიაში მოწყობილია ტანსაცმლის გასასინჯი ოთახი, ორი ახალი ვიტრინა და თვალსაჩინო ადგილზე საქონლის პრეისკურანტი. ყოველივე ეს კულტურულად არის მოწყობილი და მომხმარებლის ყურადღებას იზიდავს. ყველა იმ ტანსაცმლის გადაკეთება, რომელიც მომხმარებლის გემოვნებაზე არ არის შეკერილი, მაღაზიაშივე ხდება.

რაიმაღაზია **ჩაბმულია საუკეთესო მაღაზიებზე საკავშირო კონკურსში და თავდადებულად იბრძვის პირველობისათვის.**

ვალ. ჭოჭუა.



ბორჯომის რაიმაღაზიის ჭურჭლეულის სექცია.

— : —

მარტვილის სარაიონო მაღაზია დაწინაურდა

(მარტვილი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

მარტვილის სარაიონო უნივერსალური მაღაზია 15 მარტს გაიხსნა. მაღაზიამ მარტო თვენახევრის განმავლობაში, 18.900 მანეთის საქონელი გაასაღა. აპრილის საქონლის ბრუნვის გეგმა 152 პროცენტით შეასრულა.

აპრილში მაღაზიას გეგმით უნდა შემოეზიდა 50.000 მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი; ფაქტიურად კი შემოზიდა 68.800 მანეთის. (გეგმის 117 პროც.)

მაღაზია უზრუნველყოფილია რთული ასორტიმენტის საქონლით (გალანტერეა, ფეხსაცმელი, ჭურჭლეული, სათევზაო რკინეული და სხვ.). შეკერილი ტანსაცმლის ხვედრითი წონა მაღაზიის სავაჭრო ბრუნვაში უდრის 77,7 პროც; ფართლეულის — 12,6 პროც., კულტურული საქონლის — 10 პროც. **საქონლის ასორტიმენტის ხარისხობრივი მაჩვენებელი რომ დამაკმაყოფილებელია, ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ დღემდე მაღაზიაში არ დაგროვებულა გაუსაღებელი საქონელი.**

მაღაზიას საქონლით ამარაგებს **სამტრედიის სარაიონთაშორისო ბაზა.** და მარტვილის რაიკოოპკავშირი. მარტვილის რაიმაღაზია ასე გადაჭარბებით რომ ასრულებს გეგმებს, ეს იმის შედეგია, რომ **როგორც მაღაზიის, ისე რაიკოოპკავშირის მუშაკები თავდადებულად იბრძვიან მაღაზიის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.**

მაღაზია ჩაება საკავშირო კონკურსში გამარჯვების მიზნით დახლის მუშაკებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

კეთილსინდისიერი მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევა გამყიდველი **ბრიგოლ ბალიშვილი** (კომკავშირელია). ამხ. **ბალიშვილი სამი წელიწადია რაც გამყიდველად მუშაობს. ის სისტემატიურად წმენდავს და ასუფთავებს საქონელს, მომხმარებელს ემსახურება კულტურულად და ლამაზად აქვს მოწყობილი მაღაზია.** ბალიშვილი ამით როდი კმაყოფილდება — **ის უშურველად ეხმარება და ასწავლის მასთან მომუშავე ახალ გამყიდველებს კვესელავას და ჭვეჩინავას,** რათა ისინი დაეუფლონ კულტურულ ვაჭრობას. **კომკავშირელ ბალიშვილის მაგალითი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს თვითეული კომკავშირელი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.**

მაღაზიაში შემოღებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებათა ჩასაწერი წიგნი. როგორც შემოწმებამ დაადასტურა ყოველდღიურად 40—50 მომხმარებელი აყენებს ამათუ იმ საქონელზე მოთხოვნილებას. **ამ მოთხოვნილებას მაღაზიის მუშაკები უყურადღებოდ როდი ტოვებენ,** არამედ აჯამებენ მათ და გადამჭრელ ზომებს ღებულობენ მომხმარებლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს წარმატებები უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მარტვილის რაიონულ მაღაზიის მუშაკებს მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ რაიმაღაზია ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის კერად იქცეს.

შ. კაკულია.

გორის რაიმაღაზიას მიღწევებთან დეფექტებიც აქვს

(გორი, საკ. კორესპონდენტისაგან)

გორის რაიმაღაზიას ორი თვის არსებობის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა **მაღაზიამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია საქონელბრუნვის გაშლის მხრივ.** მე-2 კვარტალში მაღაზიამ გეგმის თანახმად 200.000 მანეთის საქონელი უნდა გაასაღოს **ნამდვილად კი ერთ თვეში გაასაღა 92.000 მან. საქონელი** (თვიური გეგმის 137,5 პროც.).

აღსანიშნავია ისიც, რომ მაღაზიამ ამ მოკლე დროის განმავლობაში **საგრძნობლად შეამცირა მიმოქცევის ხარჯები** (გათვალისწინებული 8.000 მან. ნაცვლად დახარჯულია 1,200 მანეთი). აქ შემოღებულია **დაკვეთის წიგნი,** რომელშიაც იწერება **მომხმარებელთა შეკვეთა.** აგრეთვე მაღაზიაში **მოწყობილია ტანისამოსის გასასინჯი განყოფილება** და სხვ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მაღაზიის მუშაობას ჯერ კიდევ **ზოგიერთი დეფექტი ახლავს.** მაგალითად, მაღაზიასთან დღემდე **არ არის მოწყობილი გადამკეთებელი სახელოსნო,** აგრეთვე **სრულიად არ წარმოებს საქონლის თვითშესყიდვა ადგილობრივი სარეწაო არტელებიდან.** რაც მთავარია, **მაღაზიას არა აქვს საკმაო საბრუნავი თანხა.** მაღაზია დაკრედიტებულია მხოლოდ 50.000 მან. **თანხების სიმცირე საშუალებას არ აძლევს უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა.** აგრეთვე მაღაზიას არ გააჩნია საკუთარი საწყობი, **საქონლის ასორტიმენტი ხშირად არ განსხვავდება ქალაქის სხვა მაღაზიების საქონლისაგან** და სხვ.

რაიმაღაზია ჩაბმულია კონკურსში საუკეთესო სარაიონო მაღაზიებზე. მას სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ბორჯომის რაიმაღაზია.

კონკურსმა უნდა გააუმჯობესოს მაღაზიის მუშაობა. უნდა გაჩაღდეს ბრძოლა მაღაზიის მუშაობაში არსებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ა. კირცხალია

ფორმალობამ კონკურსი იმსხვერპლა

(საკ. კორესპონდენტისაგან).

ენუქიძის (ყოფ. ამბროლაურის რაიონი) რაიმაღაზია მართალია პირველ ხანებში დამაკმაყოფილებლად მუშაობდა, მაგრამ ეს მდგომარეობა ასე როდი გაგრძელდა. მაღაზიამ თანდათანობით შეასუსტა მუშაობა. ამჟამად მისი თაროები ცარიელია. მაღაზიაში პაპიროსის და ასანთის მეტი თითქმის არაფერი მოიპოვება.

გეგმის თანახმად მეორე კვარტალში მაღაზიამ უნდა გაასაღოს 121 ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ აპრილსა და მაისში რეალიზებულია მხოლოდ 29,542 მანეთის საქონელი (გეგმის 24,5 პროც.).

მაღაზიას რომ არა აქვს ფართო მოხმარების საქონელი, ამას რაიკოოპკავშირისა და მაღაზიის ხელმძღვანელები „ობიექტური" მიზეზით ხსნიან: **„საქონელი უნდა მივიღოთ ქუთაისის ბაზიდან, მას 28 დღის წინათ გავუგზავნეთ 16.000 მანეთი, მაგრამ საქონელი დღემდე არ მოგვიღია"** აცხადებენ ისინი. რაიკოოპკავშირისა და რაიმაღაზიის ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა გამოერკვიათ თუ რატომ არ მიიღეს საქონელი და რა ბედი ეწვია ამ 16 ათას მანეთს. ისინი ხელდან და გულზე ხელდაკრეფილი შეჰყურებენ, როდის მოუვათ მზამზარეული საქონელი.

როდესაც საქონელი აქვთ (რაც იშვიათი მოვლენაა ამ მაღაზიაში), მასაც კულტურულად ვერ აწვდიან მომხმარებლებს. მუშაობის მოუწესრიგებლობის გამო ვაჭრობის დროს დაუსრულებელი რიგებია.

ამას რომ თავი დავანებოთ, საქმე ისაა, რომ **მაღაზია დღემდე არ ჩაბმულა კონკურსში საუკეთესო მაღაზიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ კარგა ხანია რაიკოოპკავშირმა მიიღო ცნობა ცეკავშირიდან. მაღაზიის თანამშრომლებმა ისიც-კი არ იციან, ტარდება თუ არა კონკურსი.**

როგორც გამოირკვა, ამ საკითხს „ამუშავებს" რაიკოოპკავშირის ორგსექტორი, ალბად მაშინ ჩაებმება კონკურსში, როდესაც ყველაფერი მოთავდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამშრომელთა შორის დღემდე არ არის გაშლილი შრომის სოციალისტური ფორმები.

თუ ასე გაგრძელდა რაიმაღაზიის მუშაობა უდავოა, რომ ის სანიმუშოს მაგივრად, ცუდი მაგალითის მიმცემი მაღაზია შეიქნება. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ თავითვე უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები და სარაიონო მაღაზიის მუშაობა თავის მოწოდების სიმაღლეზე დააყენოს.

ი. კობახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვინდა ქვეოსტატი—საქსოვი კომპლექტის ნამდვილი ბრიგადირი

ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში აქვთ დებულება საქსოვი კომპლექტის ქვეოსტატის უფლება-მოვალეობათა შესახებ. მართალია, ის ძველია, ორი წლის წინათ შემუშავებული, მაგრამ დღემდე არავის შეუცვლია და ცხადია, ძალაში რჩება.

ამ დებულების მიხედვით ქვეოსტატი არის კომპლექტის არა ნამდვილი ხელმძღვანელი, მუშაობის პროცესების ორგანიზატორი, არამედ დაზგების შემკეთებელი, მანქანების მომწესრიგებელი. დებულებით ქვეოსტატი აგებს პასუხს მისი კომპლექტის დაზგების და მოწყობილობათა მდგომარეობისათვის, მათი მოწესრიგებისა და რემონტისათვის. ამდენად, მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი გვერდის ავლით არავინ ერეოდეს კომპლექტის მუშაობაში.

თუ ქვეოსტატს სურს გადაიყვანოს მუშა დაზგიდან დაზგაზე, სათანადო ინსტანციების დაცვით, მონტაჟის ოსტატის მეშვეობით უნდა მიმართოს განყოფილების (საამქროს) გამგეს.

შემდეგ, ქვეოსტატის მოვალეობაა:

„იკისროს პასუხისმგებლობა თავისი კომპლექტის დაზგების ნორმალური მუშაობისათვის, გამოამჟღავნოს მათი მოშლის მიზეზები, **აგრეთვე წუნისა და ხამის დეფექტების მიზეზებიც**, თავის დროზე აცნობოს მათ შესახებ მონტაჟის ოსტატის თანაშემწეს და მასთან ერთად მიიღოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად".

ამგვარად, დებულება არც ისე დიდ პასუხისმგებლობას **აკისრებს** ქვეოსტატს. მას ევალება დეფექტების შესახებ აცნობოს სხვას, „მორიგ ინსტანციას". რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, **აგრეთვე** მასაც უნდა მიაქციოს ყურადღება. **სხვა** შემთხვევაშიაც მისი ვალია იყოს მეთვალყურე და საკითხი დასვას, სადაც ჯერ არს.

ეს დებულება, როგორც ვთქვით, ძველია და ფაბრიკის ხელმძღვანელებს ამჟამად განზრახული აქვთ შესცვალონ იგი. მაგრამ ის, რაც დღემდე იყო, აშკარად ამტკიცებს, თუ როგორ ზღუდავდენ ქვეოსტატს, რომელიც საქსოვ ფაბრიკაში ძირითად ფიგურას წარმოადგენს.

მაგრამ ქვეოსტატები ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში შეზღუდულნი არიან არა მარტო დებულებით, არამედ... ტექნიკური უცოდინარობითაც. ეს გარემოება ხელს უშლის მათ იყვნენ კომპლექტის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, საწარმოო პროცესების ორგანიზატორი, კომპლექტის ნამდვილი ბრიგადირი. ბევრ მათგანს არ ძალუძს გაუწიოს მუშებს საწარმოო ინსტრუქტაჟი, ახლადმოსულებს გააცნოს წარმოების ტექნოლოგიური საფუძვლები.

სხვას რა ასწავლონ, როცა ტექნოლოგიაში თვითონაც ვერ ერკვევიან. ქვეოსტატების დიდი უმრავლესობა დაზგის მუშები არიან, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ. ფაბრიკაში 49 ქვეოსტატია, მათგან მხოლოდ 2-ს აქვს საშუალო განათლება (მათ შორის 8 არის სპეციალური განათლებით—საფეიქრო ტექნიკუმ დამთავრებულნი). 2 ქვეოსტატი მცირემცოდნეა, 35 კი დაბალი განათლების. ეს ციფრები ვერ იძლევა სანიმუშო სურათს. ქვეოსტატების ასეთი კადრებით ფაბრიკა შორს ვერ წავა. საჭიროა მოფიქრებული, გულდასმითი, დაჟინებითი მუშაობა ქვეოსტატების გადასამზადებლად, ახალი კადრების აღსაზრდელად და არა ისეთი, როგორსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ასე, მაგალითად, 1932 წელს ჩამოაყალიბეს ქვეოსტატთა გადასამზადებელი კურსები. თითქმის ერთ წელს არსებობდა იგი. მეცადინეობა ხშირად იშლებოდა, ზოგჯერ თვეში ერთხელ თუ ჩატარდებოდა. ეს საქმის მხოლოდ აბუჩად აგდებაა და არა მონდომებული მუშაობა.

ფაბრიკის პარტკომმა ამას წინათ გამოიტანა დადგენილება ქვეოსტატთა გადასამზადებელი სამთვიანი კურსების ჩამოყალიბების შესახებ. კარგი ღონისძიებაა. საჭიროა კურსებმა მართლაც გამოიღონ ნაყოფი. ფაბრიკის პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ამას უნდა მიაღწიონ.

49 ქვეოსტატიდან 7 კაცს ერთ წლამდე აქვს სტაჟი, 2-ს 1 წლისა, 22-ს ორ წლამდე, 11-ს—2 წლამდე, ხოლო ზევით—7 ქვეოსტატს. როგორც ვხედავთ, ქვეოსტატების უმრავლესობას ორი წელიც არ უმუშავნია ამ თანამდებობაზე. დასკვნა იგივეა: **ქვეოსტატების მომზადება და ფაბრიკაში შენარჩუნება პირველხარისხოვან ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.**

საფეიქრო ტექნიკუმის და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების კურსდამთავრებულნი ხანგრძლივად უნდა დატოვებულ იქნან ფაბრიკაში. სწორედ მათგან შეიძლება საუკეთესო ქვეოსტატების მიღება. დღემდე კი ისინი მუდამ გასაქცევად იყვნენ მომზადებულნი, ხშირად სტოვებდენ ფაბრიკას ისე, რომ სავალდებულო დროის (2 წელს) არ ატარებდენ წარმოებაში. მეორე მხრივ, იყო შემთხვევები, რომ ტექნიკუმიდან, თუ საქარხნო-საფაბრიკო სკოლიდან მოსულ ახალგაზრდებს ან სულ დაზგაზე ამუშავებდენ და არ აწინაურებდენ, ან უშუალოდ ინსტრუქტორებად ნიშნავდენ, პრაქტიკული მუშაობის სტაჟის გაუვლელად (მაგ., კოხრეიძე). ახალი კადრების აღზრდის ასეთი პრაქტიკა არაფრითაა გამართლებული და მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი გარემოება, რომელსაც ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაშიც აქვს ადგილი. აქ საქსოვ საამქროში 15 ქვეოსტატია და მათ **შორის არცერთი არაა ქალი.** საეჭვოა ეს შემთხვევითი იყოს. საერთოდ, საკმაოდ გავრცელებულია აზრი თითქოს ქალს არ შესწევდეს უნარი შეასრულოს ქვეოსტატის მოვალეობანი. საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ფაბრიკების პრაქტიკა აბათილებს ამ შეხედულებას. ქალი ბევრ შემთხვევაში მამაკაცზე უკეთესი ქვეოსტატი გამოდის, რა სისტემის მანქანაზეც **არ** მუშაობდეს იგი. სხვა არაფრით, თუ არა ქალის გამოუსადეგარობის ამ „თეორიით", არ შეიძლება აიხსნას საქსოვ საამქროში ქვეოსტატებად ქალების უყოლობა. პარტორგანიზაციამ ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაპყროს.

ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას უნდა ჰყავდეს პრაქტიკულად გამოცდილი, ტექნიკურად განვითარებული და ფართო უფლებების მქონე ქვეოსტატები.

სიტყვა საფაბრიკო ორგანიზაციებს და თვით ქვეოსტატებს ეკუთვნით!

ან. ჟურუა.

იქ, სადაც თვითდინარებას ეყრდნობიან

(გორი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გორის ქალაქის კოოპერატივის გამგეობა მეტად **მოუქნელად მუშაობს.** საქონლის თვითშეძენისათვის თავს არ იწუხებს. დაყრდნობილია მთლიანად იმაზე, რასაც მოაწვდის საოლქთაშორისო ბაზა. ქალაქის კოოპერატივის გამგეობის ყოფ. თავ-რის **დიასამიძის** უმოქმედობით 1933 წლის მე-4 კვარტალის საქონელბრუნვას სამარცხვინო მაჩვენებლები ახლდა. მაგალითად გეგმით საქონლის ბრუნვა გათვალისწინებული იყო 612000 მან. რაოდენობით, ხოლო ფაქტიურად გასაღებული იქნა მხოლოდ 315,400 მან. საქონელი, რაც გეგმის 49 პროცენტს შეადგენს. ამავე კვარტალში საქონლის ნაშთი პირველი იანვრისათვის 187,800 მან. მეტი იყო.

იანვარში მოხდა კოოპერატივის გამგეობის გადარჩევა, მომხმარებლები მოელოდნენ, რომ გამგეობის ხელმძღვანელობის გადახალისებას მუშაობის გარდაქმნა მოჰყვებოდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. **ისევ გრძელდება ძველებური უდარდელი, თვით მდინარებაზე დაყრდნობილი მუშაობა** ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ 1934 წლის **პირველი კვარტალის გეგმის შესრულება ისევ სამარცხვინო შედეგს იძლევა.** მაგალითად საქონლის ბრუნვის გეგმა ამ კვარტალში მხოლოდ 63,5 პროცენტით შესრულდა (გეგმით გათვალისწინებულ 402.000 მან. საქონლის ნაცვლად გასაღებულია 256.000 მანეთის საქონელი)

უფრო მეტი, პირველ კვარტალში საპაიო ანარიცხი უნდა შეგროვებულიყო 4500 მან. რაოდენობით, ფაქტიურად შეგროვებულია 1600 მან. (გეგმის 36 პროც.) ამავე კვარტალში უნდა მიეღოთ 100 ახალი წევრი, მაგრამ ერთიც არ მიუღიათ. ეს იმიტომ ხდება, რომ **აქ არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ მასობრივ მუშაობას.**

არც მეორე კვარტალის გეგმის შესრულება იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. მაგალითად, აპრილის თვეში საქონლის ბრუნვის გეგმა კოოპერატივმა მხოლოდ 54 პროც. შეასრულა.

რა არის ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი? ის, რომ **კოოპერატივის გამგეობამ დღემდე ვერ გარდაქმნა მუშაობა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, და კვლავ ძველი წესით განაგრძობს მუშაობას.**

ქალაქის კოოპერატივს 6 სავაჭრო მაღაზია აქვს ქალაქად, მაგრამ არც-ერთ მათგანს არა აქვს გეგმა შესრულებული. მაღაზიაში № 2 (გამგე **სომხიშვილი) გამეფებულია უსუფთაობა,** აქ კულტურული ვაჭრობის გაშლაზე ლაპარაკი ზედმეტია. **დაგროვებულია გაუსაღებელი საქონელი.** მაღაზიის მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ ბაზარზე იძენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ყიდის გადაჭარბებული პროცენტების დარიცხვით. მაგ. ცალი კვერცხი 50 კაპ. შეიძინეს. აქ იყიდება 70 კაპ. და სხვ. გამოირკვა ისიც, რომ არც ერთ მაღაზიაში **არ სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს,** რათა ამის მიხედვით შეიძინონ საქონელი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ კოოპერატიული ქონების განიავება ხდება, მაგ. ვაშლის დეც. დამზადებაზე მომუშავე **ესიაშვილმა** გაფლანგა 15,000 მანეთი, ქალაქის კოოპერატივის ყოფ. თავ-რი **ალექსანდრე დიასამიძემ** მიითვისა 7.001 მან. მიუხედავად ამისა იგი თავისუფლად დასეირნობს და უფრო კარგ ადგილზე არის მოწყობილი — ქუთაისში მსუბუქი მრეწველობის რწმუნებულად.

ვეკითხებით გორის რაიკოოპკავშირს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ქალაქის კოოპერატივის ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა?

ა. კირცხალია.

მაღალ დონეზე დავაყენოთ სას.-სამ. ბანკის სისტემის მუშაობა

(სას. სამ. ბანკის ფილიალების კონკურსის გამო)

სასოფლო მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობაზე პარტია და მთავრობა უამრავ თანხებს აბანდებენ, პირველ ხუთწლედში ამ საქმეზე დაიხარჯა 9,2 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედში კი 15,4 მილიარდი მანეთი დაიხარჯება.

ეს თანხა ძირითადად ტარდება სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქსელით, რომელიც მოწოდებულია, მანეთით კონტროლის საფუძველზე, უზრუნველყოს თანხების პირდაპირი დანიშნულებით ეკონომიით გამოყენება და ეფექტიანობა.

საქართველოში 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქსელმა უნდა გაატაროს 123 მილიონი მანეთი (გასულ წელს გაატარა 61,8 მილიონი მანეთი). გარდა ამისა, სასოფლო - სამეურნეო ბანკის დავალებით, სახბანკის ზოგიერთი ფილიალი სასოფლო მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად მიმდინარე წელს გაცემს 7,7 მილიონ მანეთს.

საბანკო - საფინანსო კონტროლი სასოფლო მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობაზე განსაკუთრებით რთულია ჩვენში, საქართველოში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძალიან დიდი მრავალსახეობაა და სადაც კაპიტალური დაბანდებები გასულ წელთან შედარებით ერთი-ორად არის გაზრდილი. მით უფრო საჭიროა, რომ სასოფლო - სამეურნეო ბანკის სისტემამ კიდევ უფრო შეამჭიდროოს, დარაზმოს თავისი მუშაკთა რიგები, მუშაობის ხარისხი დააყენოს იმ მაღალ მოთხოვნილებათა დონეზე, რომლებიც ამ სისტემის წინაშე დგანან მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და საკავშირო სახკომსაბჭოს 1933 წლის დადგენილების („კონტროლის წესების შესახებ, რომელთაც ანხორციელებენ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკები კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დროს") საფუძველზე.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საკავშირო ფინსახკომის მიერ მიმდინარე წლის 22 მარტის დადგენილებით გამოცხადებული კონკურსი სასოფლო - სამეურნეო ბანკის საუკეთესო კანტორაზე და საუკეთესო ფილიალზე.

ეს **კონკურსი პირველ ივნისს დაიწყო და პირველ აგვისტომდე გაგრძელდება.** კონკურსის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორგანოების მუშაობა დააყენოს ფართო საზოგადოებრიობის კონტროლის ქვეშ, ნამდვილად დანერგოს ბანკის სისტემის თითეულ რგოლში შრომის სოციალისტური მეთოდები — სოცშეჯიბრება - დამკვრელობა, გამოავლინოს ყველა ის დამახინჯება და ნაკლოვანება, რომლებსაც ადგილი აქვს ამ სისტემის მიერ საფინანსო კონტროლის განხორციელებაში; გამოავლინოს საუკეთესო კანტორები და ფილიალები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ და პირნათლად ასრულებენ მთავრობისა და პარტიის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

საკავშირო სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 აპრილის დადგენილებით სამეურნეო ორგანოებს დიდი დამოუკიდებლობა მიენიჭათ კაპიტალური მშენებლობის მიზნით ასიგნებულ თანხების განკარგულების მხრით. ამასთან ერთად ვანისაზღვრა მშენებელ ორგანიზაციებისა და დამფინანსებელი ბანკების პასუხისმგებლობა მშენებლობისათვის. ბანკებს აეკრძალათ სამეურნეო ორგანიზაციათა ფუნქციებში ჩარევა და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის თავზე აღება, რასაც წინად ჰქონდა ადგილი და რაც სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ასუსტებდა.

სამაგიეროდ ბანკებს დაეკისრათ საფინანსო - კონტროლი. ამის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო ბანკს ევალება: დააფინანსოს მხოლოდ ის მშენებლობა, რომელიც გეგმაშია მოქცეული, აქვს დამტკიცებული ტიტული და ხარჯთაღრიცხვა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ აღიკვეთოს გეგმაში გაუთვალისწინებელი და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობა, რასაც წინად ჰქონდა ადგილი და დიდი არევ-დარევა შეჰქონდა დაფინანსების გეგმიანობაში, ამცირებდა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას.

ამასთან ერთად ბანკმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური იმას, თუ როგორ იცავენ სამეურნეო ორგანიზაციები ფასების საბჭოთა პოლიტიკას, კონტროლი უნდა გაუწიოს მათ, რომ მასალები და მოწყობილობა სამეურნეო ორგანოების მიერ შეძენილ იქნას მხოლოდ სახელმწიფო ფასებში, რომ სახელმწიფო ფასებით ნაზღაურდებოდეს ტვირთზიდვა და სამეურნეო ხელშეკრულებებში ადგილი არ ექნეს ამ ფასების დარღვევას. ხელფასის და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების ფონდები ბანკებმა მხოლოდ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა გაცენ.

ბანკებმა უნდა ადევნონ თვალყური იმას, იყენებს თუ არა დანიშნულებისამებრ სამეურნეო ორგანიზაცია მიღებულ თანხებს და ნამდვილად მშენებლობაში აბანდებს თუ არა მათ.

ბანკები ვალდებული არიან საერთოდ და მთლიანად გაუწიონ კონტროლი და თვალყური ადევნონ სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო მუშაობას და ყოველ დამახინჯებათა შესახებ მისცენ სიგნალი ზემდგომ ორგანოებს.

მართალია საქართველოს სამ. სას. ბანკის ფილიალების ნაწილი უკვე საკმაოდ დაეუფლა ამ ამოცანას და კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ ზოგან ამ მხრივ საკმაო გარდატეხა ჯერ კიდევ არ არის მოხდენილი: ზოგიერთი ფილიალი არასაკმაოდ იცნობს მეურნეობის მდგომარეობას დაკრედიტებულ კოლმეურნეობაში; კრედიტის გახსნამდე წინასწარ არ აწარმოებს კოლმეურნეობის მდგომარეობის შესწავლას. ამის გამო ზოგჯერ კოლმეურნეობა ვერ ახერხებს მთელი კრედიტის ათვისებას და საჭირო ხდება მისი დახურვა ან სხვა კოლმეურნეობისათვის გადაცემა.

ზოგიერთი ფილიალი სუსტად იბრძვის უძრავი კოლმეურნეობათა მიერ მიღებულ კრედიტის ათვისებისათვის. კოლმეურნეთათვის გაცემული კრედიტი, ზოგან უკვე ვადაგადაცილებულია, სასოფლო სამეურნეო ბანკის ფილიალები კი საჭირო ზომებს არ ღებულობენ, რომ ეს სესხი დროულად დაბრუნდეს.

პარტია მოელის, რომ კონკურსის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ბანკის მთელი ქსელის მუშაკები პროლეტარული საზოგადოებრიობის და საფინანსო აქტივის დახმარებით ამ ამოცანას პირნათლად შეასრულებენ.

გ. ნაფეტვარიძე.

მარგანეცის გარეცხვის რეკონსტრუქცია უნდა დაჩქარდეს

(ჭიათურა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დღემდე მარგანეცის გამდიდრება (გარეცხვა) ხდება გაცვეთილ წვრილ ქარხნებში, სადაც მადნის დიდ დაკარგვას აქვს ადგილი. საშუალოდ მარგანეცის მეტალის დაკარგვა არსებულ ქარხნებში 37 პროცენტს აღწევს. მეტალის ეს რაოდენობა მიაქვს მდ. ყვირილას, მარგანეცით მდიდარ შლამების სახით და იკარგება.

ქარხნებს ეხლანდელი ტექნიკური შეიარაღების პირობებში არ აქვთ საშუალება ზემოაღნიშნულ პროცენტზე მეტი ამოკრიფონ წყლიდან მარგანეცი.

ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ამ სამი წლის წინად დაისვა საკითხი მარგანეცის გამდიდრების საქმის რეკონსტრუქციის შესახებ. რეკონსტრუქცია ითვალისწინებს ერთი ან ორი დიდი ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხნის აგებას.

ამ ქარხნებმა უნდა შესცვალონ ამჟამად არსებული ხუთმეტზე მეტი წვრილი, გაცვეთილი ქარხანა, იქ დადგმული უნდა იქნეს უკანასკნელი კონსტრუქციის მანქანები და მარგანეცის დაკარგვა დაყვანილ იქნას მინიმუმამდე.

ასეთი დიდი ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხანა წლიურად უნდა იძლეოდეს 900.000 ტონა 52 პროცენტიან სტანდარტულ გარეცხილ მადანს.

ასეთი ქარხნის ასაგებად საჭირო იყო წინასწარ აგებული ყოფილიყო საცდელი ქარხანა, სადაც უნდა ჩატარდეს მარგანეცის მადნის გამდიდრების ცდები ახალი გაუმჯობესებული მანქანებით, რათა გამონახული იქნეს მარგანეცის დაკარგვის შემცირების ყველაზე უფრო რაციონალური საშუალება და მარგანეცის მადნის გამდიდრების ყველაზე ხელსაყრელი სქემა.

ასეთ ქარხნად 1932 წელს დასახული იქნა ქარხანა №25-ის, რომლის მოწყობის საქმეშიც ჩაბმული იქნა რამდენიმე საზღვარგარეთული ფირმა და სათანადო საბჭოთა ინსტიტუტები.

წინასწარი გამოკვლევის შედეგად მიღებული იქნა კრუპის ფირმის მიერ წარმოდგენილი მადნის გამდიდრების სქემა და ამ ფირმას დაევალა ქარხნის ტექნოლოგიური ნაწილის დაპროექტება, ძირითადი მოწყობილობის დამზადება და მონტაჟი.

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1933 წლის დამდეგს. ქარხნის შენობის პროექტი, კრუპის სქემის თანახმად, დაამუშავეს „საქართველოს სახელმწიფო პროექტის" სპეციალისტებმა.

კრუპის ფირმამ იკისრა მიეღწია № 25 ქარხანაში მარგანეცის დაკარგვის შემცირებას 37-დან 18 პროცენტამდე. რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჭიათურის პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე რაოდენობის გარეცხილი მადნის მისაღებად ქარხნის ამუშავების შემდეგ საჭირო იქნება ორჯერ ნაკლები რაოდენობის მადანი.

ამას გარდა № 25 ქარხანაში პირველად ჭიათურაში შემოღებული იქნება გარეცხილი მადნის ზუსტი შემოწმება გამდიდრების პროცესის საფეხურების მიხედვით, რისთვისაც დაიდგმება სინჯის ამღები მთელი რიგი ავტომატიური საზღვარგარეთული მანქანები. ამით მიღწეული იქნება დანაკარგების ზუსტად აღრიცხვა და მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ახალი გამამდიდრებელი ქარხანა საათში გარეცხავს 50 ტონა მადანს, წლიურად კი გამოუშვებს 150.000 ტონა 52 პროცენტიან სტანდარტულ პროდუქტს. ქარხანა მადანს მიიღებს № 25 მაღაროდან, სადაც ამჟამად უკვე დაწყებული სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

ქარხნის კორპუსის აგება დასასრულს უახლოვდება **შენობა შვიდსართულიანია,** მშენებლობას აწარმოებს ტრესტი „საქ. ქარხმშენი". ქარხნის კორპუსი რკინა-ბეტონისაგან კეთდება და მისი სიმაღლე 42 მეტრი იქნება.

ივლისიდან დაიწყება მოწყობილობის მონტაჟი. საზღვარგარეთული მოწყობილობა თითქმის მთლიანად მიღებულია, აგვიანდება იმ ნაწილების მიღებას, რომლებიც საბჭოთა კავშირის ქარხნებშია შეკვეთილი. ნაწილი შეკვეთებისა მიცემული აქვთ ტფილისის ქარხნებსაც — ლითონის კონსტრუქციების ქარხანას, კალინინის და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებს. **განსაკუთრებით აგვიანდება ნაწილების დამზადებას კალინინის სახელობის ქარხანაში.**

ჭიანურდება აგრეთვე ქარხნის წყალსადენის პროექტის შედგენა და საჭირო სამუშაოების დაწყება. რაც „საქსახპროექტმა" და „სანტექმშენმა" უნდა ჩაატარონ.

მონტაჟი უნდა დამთავრდეს სამ თვეში. იმ შემთხვევაში, თუ დროზე იქნა მიღებული შეკვეთილი მოწყობილობა, **ქარხნის საცდელი ამუშავება მოსალოდნელია ნოემბერში.** გეგმის თანახმად, ქარხანა ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, მაგრამ „საქ. ქარხმშენის" ცუდი მუშაობის, (მან ქარხნის კორპუსის დამთავრების ხუთი ვადა გაუშვა), საპროექტო სამუშაოების გაჭიანურების და აგრეთვე მოწყობილობის მიღების დაგვიანების გამო, მეოთხე კვარტალში ნაწილობრივ საცდელი პერიოდით უნდა დაიფაროს ქარხნის საექსპლოატაციო დავალებები.

⁂

№ 25 ქარხ. თავის დროზე დამთავრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხნის დაპროექტებისათვის, რომელსაც აწარმოებს ლენინგრადის დამპროექტებელი ორგანიზაცია „მექანობრი".

ამჟამად უკვე შედგენილია საპროექტო დავალება ორი ვარიანტით. პირველი ვარიანტი გულისხმობს ერთი ცენტრალური გამამდიდრებელი ქარხნის აგებას მღვიმევის ხეობაში, მეორე კი — **ორი** ქარხნის აგებას დარკვეთის და ითხვისის ხეობებში. პირველი ვარიანტით გათვალისწინებულ ქარხნის წლიური ნაყოფიერება იქნება 900.000 ტონა გარეცხილი მადანი, ე. ი. ექვსჯერ მეტი, ვიდრე № 25 ქარხნის ნაყოფიერება; მეორე ვარიანტით გათვალისწინებული ქარხნები წლიურად გამოუშვებენ 450.000 ტონა მადანს თითოეული.

შ. გუაჩიძე.

პ. აფხაძე

ისტორიის სწავლება საშუალო სკოლაში

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებანი საბჭოთა კავშირის სკოლებში ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების შესახებ, რომლებიც 16 მაისს გამოქვეყნდა, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს წარმოადგენენ საბჭ. სკოლის შემდგომი განვითარების საქმეში. ეს დადგენილებანი ზუსტად განსაზღვრამენ ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების როლს კომუნისტური განათლების სისტემაში და პრაქტიკულ გასაღებს გვაძლევენ ამ საგნების სწავლების ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დასამყარებლად. ამ წერილში გვინდა შევეხოთ საშუალო სკოლაში სამოქალაქო ისტორიის სწავლების საკითხს.

სკოლაში ისტორიის სწავლების ამოცანას შეადგენს შეუმუშაოს მოსწავლეებს **ისტორიული თვალსაზრისი** საზოგადოებრივ მოვლენებზე და გაამდიდროს მათი გონება ისტორიული ფაქტების ცოდნით, ე. ი. აღბეჭდოს მოსწავლის მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები, ისტორიული მოღვაწეები, ქრონოლოგიური თარიღები, მიიყვანოს მოსწავლე **ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე.** თუ როგორ უნდა გვესმოდეს ისტორიული თვალსაზრისის შემუშავება, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს გვაძლევს **ლენინი** ცნობილ ლექციაში სახელმწიფოს შესახებ, რომელიც მან სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს წაუკითხა 1919 წ. 11 ივლისს. სახელმწიფოს საკითხის მეცნიერული შესწავლის პირობათ ლენინი ასახელებს იმას, რომ „თვალი გადავავლოთ ისტორიას", ვნახოთ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო და როგორ ვითარდებოდა იგი".

„ყველაზე საიმედო საზოგადოებრივ მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად მოვიპოვოთ უნარი საკითხისადმი სისწორით მიდგომისა, არ დავიბნეთ აუარებელ წვრილმანებში ან მოწინააღმდეგე შეხედულებათა მრავალგვარობაში, — ყველაზე მთავარი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ — ისაა, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყველა საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა განსაზღვრული მოვლენა ისტორიაში, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო მან თავის განვითარებაში და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ იმას, თუ რა სახე მიიღო მან დღეს". (ლენინი ტ. 24, გვ. 364).

ამრიგად საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული შესწავლის აუცილებელი პირობაა, რომ განვიხილოთ მოვლენათა განვითარების ისტორიული გზა, გავერკვეთ წარსულის ფაქტებში, გავეცნოთ იმ სოციალურ გარემოს, რომელშიაც ვითარდებოდა ესა თუ ის მოვლენა.

კომკავშირის მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში იმის მაგალითად, თუ როგორ მივუდგეთ წარსულის შესწავლას, ლენინი კარლ მარქსს ასახელებს, კითხვაზე, თუ რით შესძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე უფრო რევოლუციური კლასის მილიონების და ათეული მილიონების გულების დაპყრობა, ლენინი უპასუხებს: „ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა ადამიანის ცოდნათა იმ მტკიცე საძირკველს, რომელიც კაპიტალიზმის დროს იყო მოპოვებული. ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონთა შესწავლით, მარქსმა გაიგო აუცილებლობა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყევართ. ეს დაამტკიცა მან კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე ზუსტი, ყველაზე დეტალური, ყველაზე ღრმა შესწავლით, ყველაფერი იმის სრული შეთვისებით, რაც წინანდელ მეცნიერებას მოუცია. ყველაფერი ის, რაც ადამიანთა საზოგადოების მიერ იყო შექმნილი, მან კრიტიკულად გადაამუშავა, ისე, რომ უყურადღებოდ არ დაუტოვებია არცერთი პუნქტი". (ლენინი, ტ. 30). ამ მაგალითის საფუძველზე ლენინი მოუწოდებდა ახალგაზრდობას საზოგადოებრივ განვითარების ისტორიის შესწავლისაკენ და აფრთხილებდა კომუნისტურ ლოზუნგების ზერელე შეთვისების წინააღმდეგ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ამბობს ლენინი, რომ საკმარისია შევითვისოთ კომუნისტური ლოზუნგები, კომუნისტური მეცნიერების დასკვნები ცოდნის იმ ჯამის შეუთვისებლად, რის შედეგსაც თვით ეს კომუნიზმი წარმოადგენს.

ლენინი არ დაკმაყოფილებულა ამ საერთო შენიშვნების მიცემით. სკოლისა და საერთოდ სწავლების საკითხების გარკვევასთან დაკავშირებით, ლენინი კონკრეტულ მითითებებს იძლევა ისტორიის სწავლების შესახებ, აძლევს რა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთო პოლიტექნიკური განათლების სისტემაში. მაგალითად: პოლიტექნიკურ განათლების შესახებ ნ. კრუპსკაიას თეზისებზე გაკეთებულ შენიშვნებში ლენინი, გვაფრთხილებს რა ნაადრევ სპეციალიზაციისაგან, მოითხოვს გაფართოებულ იქნას ყველა პროფტექნიკურ სკოლაში საერთო განათლების საგნები. რა საგნებია ეს? კომუნიზმი, ისტორია საერთოდ, ისტორია რევოლუციისა, ისტორია 1917 წლის რევოლუციისა, გეოგრაფია, ლიტერატურა და ასე შემდეგ (იხ. ლენინი ტ. XXX). მაშასადამე, საერთო კომუნისტური განათლების სისტემაში ისტორიის როლს ლენინი განსაკუთრებით გამოყოფს და მოითხოვს ზუსტი პროგრამების შედგენას ისტორიულ საგნებში სწავლების „წლების მიხედვით".

1921 წელს მ. ნ. პოკროვსკისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი ულოცავს გამარჯვებას პოკროვსკის მისი წიგნის, რუსეთის ისტორიის მოკლე ნარკვევის, გამოსვლის გამო, იწონებს ამ წიგნის წყობასა და გადმოცემას, საჭიროდ თვლის ამ წიგნის გადათარგმნას ევროპიულ ენაზე. მაგრამ, რომ ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გახდეს (ის კი აუცილებლად უნდა გახდეს ასეთად — დასძენს ლენინი), მას აუცილებლად მიაჩნია წიგნისათვის ქრონოლოგიური საჩვენებლის დამატება. რას უნდა შეიცავდეს ეს საჩვენებელი? ლენინი განმარტავს ასე: „1) ქრონოლოგიის სვეტი, 2) ბურჟუაზიული შეფასების სვეტი (მოკლედ), 3) თქვენი, მარქსისტული შეფასების სვეტი,.. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ თქვენი წიგნიც და საჩვენებელიც, რომ ადგილი არ ექნეს ზერელობას (**верхоглядство**).

ამრიგად, ლენინის მითითების თანახმად, ისტორიის შესწავლის დროს მოსწავლეები უნდა ეცნობოდნენ ისტორიული მოვლენების სხვადასხვა შეფასებას, **უნდა გაეცნონ ბურჟუაზიულ შეფასებასაც,** რომ ადგილი არ ექნეს ზერელობას, კომუნისტური ლოზუნგებისა და მზა დასკვნების გაზეპირებას. ლენინი მრავალ ადგილას ეხება ისტორიული განათლების საკითხს, მაგრამ აქ არ გავაგრძელებთ ამ ადგილების მოყვანას. მოყვანილიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ისტორიის სწავლების საქმეს.

ლენინი მოითხოვდა ისტორიის **კომუნისტურად სწავლებას კომუნისტურ სახელმძღვანელოებით.** პარტიის მე-11 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში (1922 წ.) ლენინი საყვედურს გამოსთქვამდა, არა გვაქვს ის, რაზედაც უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა. „როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ საზ. მეცნიერებანი? ძველ ბურჟუაზიულ ნაგავზე! ეს სამარცხვინოა! და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ასეული მარქსისტი ლიტერატორი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ სახელმძღვანელოები ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაგრამ არ გვაძლევენ, იმიტომ, რომ არ მუშაობენ ამაზე, არ არიან ამით დაინტერესებული".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება ისტორიის სწავლების შესახებ უზრუნველყოფს ლენინის მითითებათა რეალიზაციას. ეს დადგენილება გვაძლევს ისტორიის არსებულ პროგრამების და სახელმძღვანელოების არადამაკმაყოფილებლად შეფასებას. ამასთან ერთად დადგენილებაში დასახულია ამომწურავი ღონისძიებანი ისტორიის სწავლების ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისათვის.

შევჩერდეთ მოკლეთ იმაზე, თუ როგორია ამჟამად ჩვენს სკოლებში ისტორიის სწავლების პრაქტიკული მდგომარეობა. ჩვენს ხელთ არის არასრული საშუალო და საშუალო სკოლაში ისტორიის გაკვეთილზე მეტი სტენოგრაფიული ანგარიში. ეს სტენოგრამები ნათლად გვიდასტურებენ ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებათა სრულ სისწორეს, გვიმტკიცებენ იმას, რომ ისტორიის სწავლების პრაქტიკული მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია.

ისტორიის სწავლება სწარმოებს მშრალად, სქოლასტიურად, ისტორიული ფაქტების გარეშე; ძალიან ხშირად არა თუ მოსწავლეებს, თვით მასწავლებლებსაც კი არ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის მარაგი. გაკვეთილი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს უსაგნო კითხვა - პასუხის საათს. მასწავლებელი სვამს ნაწყვეტ კითხვებს მოუფიქრებლად. ფაქტებთან დაუკავშირებლად. მოსწავლეები უპასუხებენ ნაწყვეტ რეპლიკებით, გაზეპირებული სქემებით ან სრულიად უშინაარსო აბდაუბდით.

ავიღოთ მაგალითისათვის მე-9 არასრული საშუალო სკოლის მე-7 კლასის ისტორიის გაკვეთილის სტენოგრაფიული ანგარიში:

მასწავლებელი: რა გაკვეთილი გქონდა?

მოწაფე: გლეხთა ომი.

მასწ.: — სრული პასუხი.

მოწ. — გლეხთა ომი უკრაინაში.

მასწ. — უკრაინაში მე-12, მე-14 საუკუნეში, როგორი საზოგადოების წესწყობილება არსებობდა?

მოწ. — მე-13 საუკ. ბატონყმური საზოგადოების წესწყობილება არსებობდა.

მასწ. — დაგვაცალე. მარტო ბატონყმური იყო. რა საზოგადოებრივი წესწყობილება არსებობდა?

მოწ.—ფეოდალური საზოგადოების წესწყობილება.

მასწ. — გარდა უკრაინისა, რუსეთის რომელ კუთხეში არსებობდა ფეოდალური წესწყობილება?

მოწ. — გარდა უკრაინის, ფეოდალური წესწყობილება არსებობდა მოსკოვის სახელმწიფოში.

მასწ. — ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არსებობდა ფეოდალური წესწყობილება. თავდაპირველად უკრაინის მიწები ვის ეკუთვნოდა?

მოწ. — თავდაპირველად უკრაინის მიწები ეკუთვნოდა რუს თავადებს და ბოიარებს.

მასწ. — უკრაინის მიწები შემდეგ საუკუნეში, რომელმა სახელმწიფომ ჩაიგდო ხელში?

მოწ. — უკრაინის მიწები შემდეგ საუკუნეში ჩაიგდეს პოლონეთმა და ლიტვამ?

მასწ.—რა წარმოიშვა ლიტვაში და პოლონეთში?

მოწ. — მონარქია.

მასწ.—რომელ საუკუნეში გაძლიერდა ყაზახების რაზმი?

მოწ. მე-17 საუკუნეში ძლიერდება ყაზახების რაზმი.

მასწ. — რამ შეუწყო ხელი?

მოწ. — თათრების და თურქებთან ბრძოლაში განმტკიცდა ყაზახების რაზმი, სამხედრო ძალებით გაძლიერდა.

მასწ. — ყაზახების გაძლიერებას როგორ უყურებდა პოლონეთის მთავრობა?

მოწ. — მას ეშინოდა, მას უნდოდა გამოეყენებია თავის სასარგებლოდ მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორეს მხრივ პოლონეთის მთავრობა ცდილობდა, რომ განესაზღვრა ყაზახთა ჯარების რიცხვი, ყაზახთა ჯარის მეთაურებს ასაჩუქრებდა, რომ გამოეყენებინა ისინი თავის ბრძოლაში.

მასწ. — მაშასადამე, ერთი მხრივ ყაზახთა ჯარების გაძლიერება პოლონეთის მთავრობისათვის კარგი იყო, მეორეს მხრივ ეშინოდა ყაზახთა რაზმის გაძლიერება. პოლონეთის მთავრობა როგორ ცდილობდა დაემორჩილებინა ყაზახთა რაზმები. მაგალითად, როგორ იყო?

მოწ. — ყაზახთა რაზმი ორ ფენად იყო გაყოფილი. ერთი იყო მაღალი ფენა, მეორე დაბალი ფენა. პოლონეთის მთავრობას უნდა განესაზღვრა ყაზახთა რაზმი და ამიტომ ზედა ფენას ასაჩუქრებდა, ამიტომ წარმოიშვა ორი ფენა, ზედა ფენა და ქვედა ფენა.

მასწ. — რათ გადაიქცა ყაზახთა ზედა ფენა?

მოწ. — ყაზახთა ზედა ფენა გადაიქცა მემამულეებათ. მათ ყავდათ ყმები და გლეხები.

მასწ. — ყაზახთა ზედა ფენა გადაიქცა მემამულეებათ. შემდეგ იმორჩილებს ყაზახთა ქვედა ფენას, არა? უკრაინის გლეხობას მარტო ყაზახთა ზედა ფენა უწევდა ექსპლოატაციას, თუ სხვა მემამულეებიც უწევდნენ ექსპლოატაციას?

მოწ. — უკრაინის ყაზახთა ქვედა ფენას და გლეხობას ექსპლოატაციას უწევდა არა მარტო ზედა ფენა, არამედ პოლონეთის პანებიც.

მასწ. — სწორია. გლეხებს ექსპლოტაციას უწევდნენ და ავიწროვებდნენ პოლონეთის პანები, რაც ნიშნავს მემამულეებათ გადაქცევას. მებატონე პანები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო გლეხების ექსპლოატაციით. კიდევ რა?

მოწ. — პოლონეთის პანები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო გლეხებს ძარცვით, ისინი იტაცებდნენ შეძლებულ ყაზახთა მიწებს, საძოვრებს და მთელ რიგ ქონებას, რაც მათ გააჩნდათ, მთავრობის გამოცემული ყაზახთა შემზღუდავი კანონები და ძარცვა ნიადაგს უმზადებდა ყაზახთა ამბოხებას.

მასწ. — მოსკოვის სახელმწიფომ რომელი ახალი მხარე ჩაიგდო ხელში?

მოწ. — მოსკოვის სახელმწიფომ ახალი ქვეყანა ჩაიგდო ხელში, ყაზანი და ასტრახანი.

მასწ. — კიდევ რომელი მხარე?

მოწ. — მოსკოვის სახელმწიფომ კიდევ ჩაიგდო ვოლგის მხარე და ციმბირი.

მასწ. — ვოლგის რომელი მიდამოები ჩაიგდო ხელში?

მოწ. — ზედა მხარე.

მასწ. — ვინ იტყვის სწორედ?

მოწ. — ვოლგის შუა და ქვედა მხარეები, კიდევ ციმბირი.

მასწ. — რა იყო მიზეზი, რომ მოსკოვის სახელმწიფომ და მემამულეებმა დაიწყეს ახალი კუთხეების და მიწა-წყლის ხელში ჩაგდება?

მოწ. — მოსკოვის სახელმწიფოში განვითარდა ფულადი მეურნეობა.

მასწ. — როგორ განვითარდა?

მოწ. სას. მეურნეობის პროდუქციაზე გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო პროდუქტები გადაიქცა სამომხმარებლო პროდუქტებათ.

მასწ. — სასოფლო სამეურნეო პროდუქცია რათ გადაიქცა, ვინ მეტყვის?

მოწ. — სასოფლო მეურნეობის პროდუქცია გადაიქცა საქონლად.

მასწ. — როდესაც მოსკოვის სახელმწიფოში განვითარდა ფულადი მეურნეობა, რა დაიწყო?

მოწ. — როდესაც მოსკოვის სახელმწიფოში განვითარდა ფულადი მეურნეობა, დაიწყო ბრძოლები ახალ კუთხეების დასაპყრობლად, პირველად დაპყრობილი იყო ყაზანი. შემდეგ დაპყრობილი იყო ასტრახანი.

მასწ. — დიდი ბრძოლა დასჭირდათ?

მოწ. — დიდი ბრძოლა არ დასჭირებიათ, შემდეგ დაიპყრეს ურალი, შემდეგ ვოლგის შუა ქვედა ნაწილი, შემდეგ იწყება ბრძოლა ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეებზე.

მასწ. — შემდეგ ბალტიის ზღვა რატომ ესაჭიროებოდათ?

მოწ. — იმიტომ, რომ დასავლეთისაკენ მოკლე გზა იყო.

მასწ. — ბალტიის ნავთ სადგურს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ მოკლე გზა ჰქონდა ევროპაში საქონლის გასატანად, ეს იყო სავაჭრო გზა დასავლეთისაკენ, მოსკოვის სახელმწიფომ გაიმარჯვა?

მოწ. — ვერ გაიმარჯვა.

ამავე სტილით და ამგვარივე შინაარსით გრძელდება ეს გაკვეთილი კიდევ დიდხანს, რის შემდეგ მასწავლებელი იღებს სიტყვას ახალი გაკვეთილის ასახსნელად. სისრულისათვის მოვიყვანთ მასწავლებლის მიერ მიცემულ ახალ გაკვეთილის დასაწყის ნაწილს.

მასწ. — მაშასადამე ჩვენ წინა გაკვეთილზე გავარკვიეთ (განა რამე გაარკვიეს?! პ. ა.) გლეხობის ამბოხება. შევხედოთ უკრაინას, 1630 წლებში ადგილი ჰქონდა გლეხობის და ყაზახთა რაზმის გამოსვლებს, უმთავრესად ამ ხალხის გამოსვლა დამოკიდებული იყო პოლონეთის გაბატონების საფუძველზე.

პოლონეთის მთავრობამ გააძვალტყავა ადგილობრივი მცხოვრები გლეხთა მასა, ამავე დროს პოლონეთის მთავრობამ გამოსცა ყაზახთა რაზმის შემავიწროვებელი კანონი. ამ შემზღუდველმა კანონმა ადგილობრივ გლეხობის მდგომარეობა გაამწვავა, უკრაინის გლეხობა ამოძრავდა. განსაკუთრებით პოლონეთის მთავრობის მიმართ, ის პანები, რომელნიც მოყვნენ უკრაინაში განსაკუთრებით ყაზახთა რაზმები, იწყებენ ბრძოლას პანების წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც პოლონეთის მთავრობამ დნეპრზე სიმაგრე ააგო, აშენდა დნეპრის ნაპირას დიდი ციხე კოიკი, აქ დაბანაკდა ჯარი. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ადგილობრივ ყაზახების მზადება უკმაყოფილება პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ.

მართალია, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ხუთჯერ ჰქონდა ადგილი ამ ამბოხებას და ეს ამბოხება ჩააქრო პოლონეთის ჯარის კაცებმა, ე. ი. ის იყო პოლონეთის ხელისუფლების და მთავრობის მიერ ჩაქრობილი. ყაზახების რაზმი დაიყო ორ ფენად. ყაზახების ზედაფენა და ქვედა ფენა. ზედა ფენა გადავიდა პოლონეთის მთავრობის მხარეზე და ერთგვარ მემამულეებსაც წარმოადგენდნენ. ყაზახების რაზმის ზედა ფენამ დაამარცხა ქვედა ფენა, არა თუ ყაზახებს პოლონეთის პანები, არამედ ადგილობრივ გლეხებსაც უწევდნენ ექსპლოატაციას. ყაზახების ზედა ფენა ექსპლოატაციას უწევდა ყაზახების ქვედა ფენას და ამავე დროს გლეხებსაც. ამბოხების დამთავრების შემდეგ ყაზახების ერთი ნაწილი, ზედა ფენა, პოლონეთის მთავრობის მხარეზე გადავიდა, მეორე ფენა, რომელიც უკმაყოფილონი იყვნენ სტოვებდნენ მათ ტერიტორიას და გადადიან ზოროჟიეთში. აქ ეწყობა შეგროვება რაზმების. რაზმს შეადგენენ, მასიური და ორგანიზაციულად დარაზმავენ, ემზადებიან ახალ ომისათვის, პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ. ახალ მოძრაობას სხვათა შორის სათავეში ჩაუდგება ხმელნიცკი. ხმელნიცკი შეურაცხყოფილი იყო პოლონელ პანების მიერ, რომელთაც მისი მიწები მიითვისეს და ისიც გადადის ზოროჟიეთში.

ეს, უკაცრავად პასუხია, გაკვეთილი, რა თქმა უნდა ანალიზს და კომენტარიებს არ საჭიროებს. მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ.

ერთის მხრივ გაკვეთილზე ადგილი აქვს ენის კანონების ბარბაროსულ დამახინჯებას, როგორც მოსწავლეთა ისე მასწავლებლის მიერ. რაც შეეხება ისტორიის სწავლების საქმეს, ჩვენ ვხედავთ მასწავლებლის უვიცობას, როგორც ისტორიული განათლების, ისე პედაგოგიურ - მეთოდიური მომზადების მხრით. გაკვეთილი არ იძლევა ისტორიულ ფაქტს, მოსწავლეები არ იცნობენ ისტორიულ პირებს; ერთმანეთთან დაუკავშირებელი რეპლიკებით ისინი მსჯელობენ განყენებულად, აბსტრაქტულად, დროსა და სივრცის გარეშე. არავითარი კონკრეტული ცოდნა მათ არ გააჩნიათ. თვით მასწავლებელი მოკლებულია ისტორიის კონკრეტულ ცოდნას და ახალი გაკვეთილის ახსნისას კიდევ უფრო ამჟღავნებს ამ უვიცობას. მისი გაკვეთილი წარმოადგენს გაუგებარ და დაუსაბუთებელ, უსაგნო ფრაზების ჟონგლიორობას, რომელთაც ისტორიული სარჩული არ გააჩნიათ, რომლებიც რაღაც ფატალურ წარმოდგენას უნერგავენ მოსწავლეებს წარსულის ამბებზე. მასწავლებელი მოუფიქრებლად სვამს კითხვებს გაკვეთილის დასაწყისში. მოსწავლეთა პასუხიც არის მექანიკური და უშინაარსო, ასეთი „სწავლების" შედეგათ მოსწავლე, რომელმაც უნდა დაამთავროს არასრული საშუალო სკოლა, გამოდის სკოლიდან უვიცი და მოუმზადებელი.

ამის მსგავსი მაგალითის მოყვანა ბევრის შეიძლება, მაგრამ ეს საჭირო არ არის, რადგანაც საკითხი ისედაც ნათელია. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელს არ აქვს ისტორიული მომზადება (თუმცა ე. წ. „სოციალურ - ეკონომიური ფაკულტეტი" დამთავრებული აქვს ზემოდგარჩეულ გაკვეთილის ავტორ - მასწავლებელს), არ ვარგა ისტორიის პროგრამები და სახელმძღვანელოები. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ამ პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ აბსტრაქტულად და უფაქტო ისტორიას აწვდიან სკოლას ეს პროგრამები და სახელმძღვანელოები.

სანამ ახლად დაარსებული ისტორიული ფაკულტეტები მოგვცემდენ კვალიფიციურ ისტორიკოსს მასწავლებელთა ახალ კადრებს, აუცილებელია არსებული კადრების სერიოზული **გადამზადება.** ამ საქმეზე მობილიზაცია უნდა გავუკეთოთ ყველა ჩვენს სპეციალისტ ისტორიკოსებს და მოვაწყოთ სისტემატიური ლექციების ციკლი საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის. ეს გადაუდებელი საქმეა.

ეხლავე უნდა დავუკავშირდეთ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ისტორიის სახელმძღვანელოების შემდგენელ ავტორთა ჯგუფებს, რომ მოგვეცემულ იქნას ამ სახელმძღვანელოების დროული და კვალიფიციური თარგმნა.

ადგილობრივ უნდა გამოვცეთ ნარკვევები უძველესი დროის, საშუალო საუკუნეების და ახალი ისტორიის ცალკე საკითხებზე ამ საქმეში ჩვენი სპეციალისტების ჩაბმის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ა.-კავკასიის ხალხთა და კერძოთ საქართველოს ისტორიის მარქსისტულად დამუშავების საქმეს, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველვყოთ სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება ა.-კ. ხალხთა და საქართველოს ისტორიის შესასწავლათ.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს დადგენილების რეალიზაციის შედეგად ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ პოლიტექნიკური სკოლა მოამზადებს ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანებს, რომელთათვის ღრმა ისტორიული მომზადება ფართო კომუნისტური განათლების აფუძველი იქნება.

ბიბლიოგრაფია

ვ. გრეჩევი, მ. მერკ[illegible], ნ. მ[illegible]ნოვი. „იმპერიალიზმის ანტილენინური თეორიები“.

თარგმანი რუსულიდან ვ. ჩანტლაძის მიერ, გ. ჯანელიძის რედაქტორობით „ა.-კ. დაუსწრ. საფ.-ეკ. ინსტ. გამოცემა“ ტფილისი 1934 წ.

ლენინმა, როგორც ცნობილია გააღრმავა და განავითარა მარქსიზმი. მან, სხვა საკითხებთან ერთად, მოგვცა კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპის — იმპერიალიზმის სწორი და ამომწურავი დახასიათება, მისი ღრმა მეცნიერული ანალიზი. ლენინის ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, საამაყო საგანძურს წარმოადგენს მარქსისტულ ლიტერატურაში.

ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკმაო ლიტერატურა იმპერიალიზმის ანტილენინური თეორიების შესახებ, ამიტომ სარეცენზიო წიგნის „იმპერიალიზმის ანტილენინური თეორიების“ გამოცემა დიდი მნიშვნელობის ფაქტია. წიგნში ავტორები იხილავენ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებს. ავტორები სავსებით სწორად იქცევიან, როდესაც ამ თეორიებს ორჯგუფად ყოფენ, ცალ-ცალკე იძლევიან მათ მარქსისტულ კრიტიკას და ნათელყოფენ მათ არა მეცნიერულ ხასიათს.

წიგნში საკმარისადაა გაშუქებული ლენინის კრიტიკა ჰობსონისა, ზომბარტისა, ჰეკერტისა, ვეგერისა, ლიფმანისა და სხვ.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კაუცკის ანტიმარქსისტულ ულტრაიმპერიალიზმის თეორიის კრიტიკას, რომელსაც ლენინმა მჭერმეტყველურად „ულტრამიქარვა“ (ультра-пустяк) უწოდა.

წიგნში მოცემულია როზა ლიუქსემბურგის შეცდომათა კრიტიკა, მაგრამ არასაკმარისადაა დასაბუთებული თუ როგორ მიდის როზა ლიუქსემბურგი კაპიტალიზმის გარეგანი წინააღმდეგობის გზით დაღუპვის თეორიამდე.

წიგნში მოცემულია კრიტიკა იმპერიალიზმის ტროცკისტულ კონცეპციის („სტაბილიზაციის თეორია“, „დიდციკლთა თეორია“) წიგნში დასაბუთებულია აზრი, რომ „ტროცკიზმი არის კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმი“.

ავტორები იძლევიან ჰილფერდინგის დახასიათებას. უარყოფენ ბუხარინის დებულებას ორი ჰილფერდინგის შესახებ. ავტორები როცა ლაპარაკობენ ჰილფერდინგის თეორიაზე პოლიტიკური და სამეურნეო დემოკრატიის გზით კაპიტალიზმის სოციალიზმში გადაზრდის შესახებ, არ იძლევიან საკითხის ფართოდ გაშლას. ეს უსათუოდ საჭირო იყო.

წიგნის ქართულად გამომცემლებს დაავიწყდათ „პატარა“ საქმე — რედაქტორის წინასიტყვაობა, რასაც ეს წიგნი აუცილებლად საჭიროებს.

წიგნში მრავლად მოიპოვება კორექტურული შეცდომები (გვერდები 9, 11, 12, 13, 15, და სხვ.) რაც ხელს უშლის აზრის სწორ გაგებას.

წიგნი არაა ლამაზად გამოცემული.

გრ. გ. ბარკაია

რ. ვ. ოთხმეზური

ამინდი საქართველოში

14 ივნისის დილის 8 ს. 15 ივნისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში მთელი დღეღამის განმავლობაში იდგა მშრალი და მოწმენდილი ამინდი. ქროდა სუსტი დასავლეთის ქარი ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 25 გრადუსიდან (ოზურგეთი) 21 გრადუსამდე და ღამით 17 გრადუსიდან (ქუთაისი) 12 გრადუსამდე (წიფა).

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან იდგა უმთავრესად მშრალი ამინდი. წვიმა ქექა-ქუხილი მოვიდა კოჯრის მიდამოებში — 4 მილიმეტრი, ტფილისის მიდამოებში — 2 მილიმეტრი და თელავის მიდამოებში — 3 მილიმეტრი. ქროდა სუსტი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 27 გრადუსიდან (ლაგოდეხი) 10 გრადუსამდე (გუდაური) და ღამით 17 გრადუსიდან (ლაგოდეხი) 6 გრადუსამდე (აბასთუმანი).

მოსალოდნელი ამინდი 16 ივნისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოღრუბლულობის ზრდა და სუსტი წვიმა; სუსტი ქარი (მდ. რიონის ხეობაში ქარი ძლიერი იქნება, მაგრამ შემდეგ იგი შესუსტდება) მოსალოდნელია აღმოსავლეთის ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია — შესამჩნევად ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა რომელსაც ზოგიერთ რაიონში ელჭექის ხასიათი ექნება, სუსტი ქარი ტემპერატურის მცირე დაკლება.

საბავშვო ბაგა—სანიმუშოდ უნდა მუშაობდეს

სურათზე: საბავშო ბაგის ექიმი —ქალი ამხ. კარბელიშვილი სწონის ბავშვს. გვერდით —ბავშვი სადილის მოლოდინში.

უკანასკნელ ერთ წელიწადში საბავშვო ბაგათა ქსელი რესპუბლიკაში თითქმის ერთი სამად გაიზარდა და მათი რიცხვი უკვე აღწევს 97-ს. 1930 წ. საბავშვო ბაგებში მოთავსებული იყო 575 ბავშვი, ამჟამად კი მოთავსებულია —6.050 ბავშვი: გარდა ამისა, სასეზონო ბაგებში მოთავსებულია 11.262 ბავშვი.

შემოწმების დროს ტფილისის საბავშვო ბაგებს შორის პირველი ადგილი დაიკავა მეორე სამკერვალო ფაბრიკასთან არსებულმა საბავშვო ბაგამ, სადაც ნორჩ ბავშვებს სანიმუშოდ უვლიან, კარგად კვებავენ და ბავშვების აღსაზრდელად შერჩეული ყავთ საქმის მოყვარული პერსონალი.

მეცნიერება და ტექნიკა

ატომგულის აღნაგობა—ახალი რადიოაქტიური მოვლენები

(პროფ. ფრ. პერრენის მიერ მოსკოვის სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკურ ინსტიტუტში წაკითხული მოხსენების მიხედვით)

ატომგულში მიმდინარე პროცესების შესწავლის დროს უკვე ცნობილ მსუბუქ უარყოფითად დამუხტულ **ელექტრონის** (ანუ ზოგიერთები უწოდებენ — ნეგატონის) და დადებითად დამუხტულ მძიმე **პროტონის** გარდა, მეცნიერებას ამჟამად საქმე აქვს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ — უმუხტო, მაგრამ პროტონივით მძიმე წილაკთან — **ნეიტრონთან** და დადებითად დამუხტულ ელექტრონთან — **პოზიტრონთან** (პროფ. პერრენი მას უწოდებს პოზიტონს). რადიოაქტივობის აღმოჩენის დროიდან ცნობილია, რომ ზოგიერთი მძიმე ელემენტები თავისთავად გარდაიქმნებიან სხვა ელემენტებად.

ამ გარდაქმნის დროს ელემენტის ატომგულიდან გამოიტყორცნება ან ჰელიუმის ატომგულები (ჰელიონები ან ალფა-წილაკები, ალფა - დაშლა) ან ელექტრონები (ბეტა-დაშლა). მაგრამ ამ ბუნებრივ გარდაქმნათა გარდა ცნობილია ხელოვნური გარდაქმნა, რასაც ადგილი აქვს საკმაო ენერგიით მოძრავი ორი ატომის ერთმანეთთან დაჯახების დროს.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოჩენილი **ხელოვნურად გამოწვეული რადიოაქტივობის** მოვლენა. მეცნიერებმა **ირენ კიურიმ** (ცნობილ ცოლ-ქმარ კიურის შვილი) და **ფ. ჟოლიომ** (საფრანგეთი) გამოარკვიეს, რომ ალუმინი ალფა-წილაკებით დაყუმბარების შედეგად გამოჰყოფს პროტონებს და გარდაიქმნება სილიციუმის იზოტოპად. პროტონებთან ერთად გამოიყოფა ნეიტრონები და პოზიტრონები. დაყუმბარების შეწყვეტის შემდეგ პროტონების და ნეიტრონების გამოყოფა წყდება, მაგრამ პოზიტრონების გამოყოფა გრძელდება კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამრიგად ნათელია, რომ ალუმინის ალფა-წილაკებით დაყუმბარების დროს წარმოიშობა რადიოაქტიური ელემენტი, რომელიც იშლება პოზიტრონების გამოყოფით. ეს ელემენტი უნდა იყოს ფოსფორის ანალოგი. ეს მოსაზრება სავსებით დაადასტურა ი. კიურის და ფ. ჟოლიოს ქიმიურმა გამოკვლევამ და ალუმინის დაყუმბარების დროს წარმოშობილ ნივთიერებას უწოდეს რადიოფოსფორი.

ასეთივე შედეგები მიიღეს სხვა ელემენტების დაყუმბარების დროსაც. იტალიელმა ფიზიკოსმა **ე. ფერმიმ** გამოარკვია, რომ ნეიტრონებით დაყუმბარების დროსაც წარმოიშობა რადიოაქტიური ელემენტები, მაგრამ ამ დროს უკვე გამოიყოფა ელექტრონები (ბეტა-დაშლა), როგორც მრავალი ბუნებრივი რადიოაქტიური ელემენტების დაშლის დროს.

ფ. პერრენის ჰიპოტეზით ატომგული შესდგება პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. მაშინ ატომგულის დაშლა ელექტრონისა ან პოზიტრონის წარმოშობით უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ერთდროულად წარმოიშობა წყვილი: ელექტრონი და პოზიტრონი. ამგვარი წყვილების წარმოშობა მართლა იქნა შენიშნული **ბლეკეტის, კიურის და ჟოლიოს, ანდერსენის** და სხვ. ცდების დროს. ამ შემთხვევაში, ბეტა-დაშლის დროს პოზიტრონი „უერთდება“ ნეიტრონს და წარმოშობს პროტონს, ელექტრონი კი სცილდება ატომგულის არეს. როდესაც ატომგული იშლება პოზიტრონის გამოყოფით, ელექტრონი „უერთდება“ პროტონს და წარმოშობს ნეიტრონს.

როგორც **ელლისის** და **მეიტნერის** ცდები ამტკიცებენ, ამ პროცესების დროს უნდა ხდებოდეს გამოყოფა კიდევ ერთი პატარა უმუხტო წილაკის, რომელსაც თან მიაქვს ენერგია, ვინაიდან ამ პროცესების დროს ენერგიის შენარჩუნება არ ხდება.

ასეთი წილაკების არსებობას შესაძლებლად თვლიდა **პაული**, მაგრამ მათი აღმოჩენა ვერ შესძლეს. ფიქრობენ, რომ ეს წილაკები თავისი თვისებებით უნდა ემსგავსებოდნენ ფოტონებს (სინათლის კვანტებს) იმ მხრივ, რომ მათი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მოძრაობაში. ფ. პერრენი ამ წილაკებს უწოდებს **ერგონებს.**

ფ. პერრენის მეცნიერ **ლეას** ცდების საფუძველზე (პროტონის დაყუმბარება ნეიტრონებით, რომლის დროსაც შემჩნეულია ამოსხივება) შესაძლებლად თვლის, რომ პროტონი წარმოადგენს რთულ წილაკს, შედგენილს ნეიტრონისა და პოზიტრონისაგან. ამ შემთხვევაში, პერრენის აზრით, ნეიტრონი და პოზიტრონი უნდა ჩაითვალოს ძირითად წილაკებათ, რომლებიდანაც აგებულია ატომგული.

—:—

მზის ტემპერატურა

ცნობილ ასტროფიზიკოს ედინგტონის გამოანგარიშებით, მზის ტემპერატურა უდრის 12-21 მილიონ გრადუსს. 1924 წ. ედინგტონი მზის ტემპერატურას 40 მილიონ გრადუსამდე თვლიდა.

საერთაშორისო ავტოგენური კონგრესი

ივნისის პირველ რიცხვებში **რომში** გაიხსნა საერთაშორისო ავტოგენური კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ქვეყნის 700 დელეგატი.

კონგრესის თავმჯდომარემ — იტალიელმა სენატორმა **ტაფანიმ** თავის სიტყვაში აღნიშნა ავტოგენურ სამუშაოთა ფართოდ გაშლა საბჭოთა კავშირში და მხურვალედ მოუწოდა კონგრესის დელეგატებს — გაეცნონ საბჭოთა დელეგაციის მიერ ჩამოტანილ ფილმს, რომელზედაც გადაღებულია ბაქო-ბათომის ნავთსადენის შედუღება.

ერთ-ერთი პირველი მოხსენება კონგრესის პლენუმზე გაკეთებულ იქნა რუსულ ენაზე საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. **ფეტორიანის** მიერ, რომელმაც კონგრესის თავმჯდომარის წინადადებით მიიღო ორჯერ მეტი დრო, ვიდრე სხვა მომხსენებლებმა.

18 აგვისტო—საბჭოთა ავიაციის დღე

18 აგვისტო მთელს საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის დღედ. საქ. სახკომსაბჭოს, ამ დღის ჩასატარებლად მიიღო დადგენილება და წინადადება მისცა სათანადო ორგანიზაციებს ამ თვეშივე შეუდგენ ავიაციის დღისათვის მზადებას. ფართოდ გაშალონ მუშაობა რაიონებში სამოქალაქო აეროდრომებისა და თვითმფრინავთა დასაშვები მოედნების მოსაწყობად, გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სახელობითი თვითმფრინავების ასაგებად. მოაწყონ თანხების შეგროვება ამ მიზნისათვის.

სამოქალაქო ავიაციის ხელისშემწყობ კომიტეტს წინადადება აქვს მიცემული 16 აგვისტომდე რესპუბლიკაში ჩაატაროს რამოდენიმე აგიტ-გადაფრენა და გახსნას მიმოფრენა ახალი საჰაერო ხაზებით — ტფილისი — ქუთაისი — სოხუმი, ქუთაისი — ენუქიძის რაიონი და სხვ.

რაიაღმასკომებს დავალებული აქვთ დააჩქარონ ადგილებზე მუშაობა აეროდრომების მოსაწყობად, რომ არ დაბრკოლდეს სარაიონთაშორისო საჰაერო ხაზების გახსნა.

ფიზკულტურული ესტაფეტა უტილნედლეულის შესაგროვებლად

2 ივნისიდან 12 აგვისტომდე „დინამო“ ატარებს — ესტაფეტას უტილნედლეულის შესაგროვებლად.

20 ივნისამდე უნდა დამთავრდეს მოსამზადებელი მუშაობა მოხსენებების და საუბრების ჩატარება წარმოება - დაწესებულებებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში გასვლა, თემატიური საღამოების ჩატარება მუშათა კლუბებში და სხვ.

20 ივნისიდან კი პრაქტიკულად დაიწყება უტილ - ნედლეულის შეგროვება. ამავე დროს ჩატარდება ფიზკულტურული შეჯიბრები მსუბუქ ატლეტიკაში, ფეხბურთში და სხვ.

ესტაფეტის დამთავრების აღსანიშნავად რაიონებში ჩატარდება დასკვნითი ესტაფეტა „ელვა“ უტილ-ნედლეულის შეგროვების შესახებ პატაკების ჩასაბარებლად.

სურათზე — ტრამვაელი პიონერი აგროვებს ნედლეულს.

ამუშავებულია ყავის ფაბრიკა

საქ „ტექსნიმმრეწვმა“ დაამთავრა ტფილისში ყავის ფაბრიკის მოწყობა. ყავის ფაბრიკა მოწყობილია მოსკოვში ახლად აგებული ყავის დამამზადებელი დიდი ფაბრიკის მსგავსად.

ნედლ მასალად ფაბრიკა იყენებს სოიას. დღეში, თითო ცვლაზე ფაბრიკა გამოუშვებს ნახევარ ტონა (30 ფ.) ყავას, რომლითაც პირველ რიგში მომარაგებული იქნებიან მუშათა სასადილოები და დახურული კოოპერატივები.

ფაბრიკა ამუშავდა 2 ივნისს.

სურათზე: ფაბრიკაში გამოშვებული ყავის პირველი პარტიის ჩაყრა კოლოფებში.

ახალი კონსტრუქციის პნევმატორაქსის აპარატი

ქირურგმა — სპეციალისტმა, ექ. პატარაიამ მოაწყო სრულიად ახალი კონსტრუქციის პნევმატორაქსის გასაკეთებელი აპარატი, (ტუბერკულოზით ფილტვის დაზიანების დროს, პნევმატორაქსის აპარატით დაზიანებულ ფილტვს კუმშავენ გაწმენდილი ჰაერით), რომელიც შესამჩნევად გაუმჯობესებულია და უფრო შეეფერება სამკურნალო მედიცინის ახლანდელ მოთხოვნილებებს.

ამხ. პატარაიას სისტემის პნევმატორაქსის აპარატი გადაცემული აქვს წითელი ჯვრის საზოგადოებას კლინიკური ხასიათის ცდების ჩასატარებლად.

პირველი ცდების შედეგები მოწმობენ, რომ პატარაიას სისტემის აპარატი საზღვარგარეთულზე უკეთეს ეფექტს იძლევა და ამ აპარატით სარგებლობა უფრო ადვილია.

პნევმატორაქსის გასაკეთებელი აპარატურა უკანასკნელ ხანებამდე საბჭოთა კავშირში შემოჰქონდათ უცხოეთიდან.

მზადება მწერალთა საკ. ყრილობისათვის

მწერალთა საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით — ლიტერატურული საქმიანობის მასაში გადასატანად, ტფილისსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში პროფსაბჭო ატარებს პროფაქტივების შეკრებებს.

რაიონებში უკვე ჩატარდა და ზოგგან ამჟამად მიმდინარეობს რაიონული პროფაქტივის შეკრებები, ხოლო ტფილისში პროფაქტივის საქალაქო შეკრება ლიტერატურის საკითხებზე დანიშნულია 17 ივნისისათვის.

19 ივნისს ტფილისში ქუთაისში, ბათომში, სოხუმში და სტალინირში მწერალთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად კლუბებსა და დიდ საწარმოებში მოეწყობა ერთიანი პროფდღე ლიტერატურის საკითხებზე.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განხილული იქნება საუკეთესო პიესაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები.

50.000 მანეთი სასოფლო კლუბების მოსაწყობად

ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში კულტურული მომსახურების გაძლიერების მიზნით, საქ. პრეზიდიუმმა გადასდო 50 ათასი მანეთი აჭარისტანში, ახალქალაქში და ადიგენის რაიონში სასოფლო კლუბების შეკეთება - მოწყობისათვის.

როგორ კეთდება ამინდის მიმოხილვა

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის პარკი ძველს, მაგრამ კარგად მოვლილ ტყეს მიაგავს. ამ „ტყის“ ბოლოს მდ. მტკვარის მახლობლად აღმართულია დიდი კოშკი და ზედ მიდგმული ორსართულიანი, კარგა მოზრდილი შენობა. კოშკის თავზე ქარის მიმართულების გამოსაცნობი ხელსაწყოებია დადგმული.

აქ ამ შენობებში „კეთდება“ ამინდი აქ არკვევენ, თუ როგორი ამინდი იყო გუშინ ეგვიპტეში, ან შორეულ გრენლანდიაში, როგორი ტემპერატურა იყო პარიზში, ან სანფრანცისკოში წვიმა ხომ არ ყოფილა წუხელ ბათომში, ან შოვში... მკითხველები ყოველდღე ნახულობენ გაზეთებში „ამინდის მიმოხილვას“, უბრალო საქმე როდია „ამინდის მიმოხილვის“ შედგენა. ამისათვის საჭიროა სპეციალისტთა კადრი, მრავალნაირი მეტეოროლოგიური აპარატურა და რაც მთავარია — რადიო.

გეოფიზიკურ ობსერვატორიაში გამოყოფილია „ამინდის ბიურო“. დღეღამის განმავლობაში ობსერვატორიის რადიოსადგური მსოფლიოს ყველა კუთხიდან ღებულობს ცნობებს ამინდის მდგომარეობაზე. ამინდის ბიურო ნაშუაღამევის 1-ლ საათზე, დილის 7 საათზე, შუადღის 1-ლ საათზე და საღამოს 7 საათზე, ე. ი. დღეღამეში ოთხჯერ აჯამებს მსოფლიოს ყოველი კუთხიდან რადიოთი მიღებულ ამინდის მაჩვენებელ ციფრებს. რადიოთი მოდის ცნობები ამინდის შესახებ რესპუბლიკის ყველა იმ პუნქტიდან, სადაც მეტეოროლოგიური სადგურებია.

ამინდის ბიუროს მეტეოროლოგებს ეს ცნობები გადააქვთ ე. წ. სინოპტიკურ რუქებზე. რუქაზე ციფრების გადატანის შემდეგ ყოველი სინოპტიკოსისათვის აშკარაა, თუ როგორი ამინდი იყო გუშინ, ან არის დღეს — მოსკოვში, ხარკოვში, ვორონეჟში, კიევში, კავკავში, ბაქოში, ან სოხუმში და საერთოდ ევროპის და აზიის სხვა პუნქტებში. ამ რუქის საშუალებით სინოპტიკოსები არკვევენ, თუ როგორი ტენდენცია აქვს ჰაერის მაღალ ფენაში ამინდის შემქმნელი ფაქტორების მოძრაობას, რა მიმართულებით ვითარდება ეს მოძრაობა, რა დაბრკოლებებს წააწყდება იგი გზაში და სხ. ამგვარად სინოპტიკოსებს შეუძლიათ შეადგინონ „ამინდის პროგნოზი“, ე. ი. წინასწარვე გაითვალისწინონ, თუ როგორი ამინდია მოსალოდნელი ამათუ იმ მხარეში, ან რაიონში უახლოესი დღეებისათვის.

გარდა ამისა, ამინდის ბიუროს განკარგულებაშია, ათეული სხვადასხვანაირი აპარატი. მექანიკურად ჩამწერი აპარატები ზუსტად აღნიშნავენ ქარის მიმართულებას და სიძლიერეს, ჰაერის სინესტეს და ტემპერატურას, ნალექების რაოდენობას და სხვა ამგვარ ცნობებს.

როდესაც ეს ცნობები შეგროვილია მათი ანალიზისათვის, იკრიბება ამინდის ბიუროს რამოდენიმე სპეციალისტი. სპეციალისტების დასკვნის შემდეგ კი ადვილია „მოსალოდნელი ამინდის“ გათვალისწინება.

ასე კეთდება ამინდის მიმოხილვა.

◆

საყვედური ცნობების წარმოუდგენლობისათვის

საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ბრძანება

მოსალოდნელ მოსავლიანობის შესახებ საანგარიშო ცნობების საქ. მიწსახკომში და მოსავლიანობის სახელმწიფო კომისიაში ვადაზე — პირველი ივნისისათვის წარმოუდგენლობისათვის საყვედურს ვუცხადებ: დუშეთის რაიმიწგანის გამგეს ამხ. **ქაბისაშვილს**, ბორჩალოს რაიმიწგანის გამგეს ამხ. **ტერეგულოვს**, თიანეთის რაიმიწგანის გამგეს ამხ. **ჩიტაურს.**

ვაფრთხილებ ყველა რაიმიწგანის უფროსს და სამ. - სატრ. სადგურის დირექტორს, რომ შემდეგში, მოსალოდნელ მოსავლის შესახებ საანგარიშო ცნობების ვადაზე წარმოუდგენლობისათვის დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1933 წლის პირველი მარტის და 27 ოქტომბრის დადგენილებისა.

საქ. მიწსახკომის მოადგილე — **ვ. გვარამია**

ტფილისი, 1934 წ. 14 ივნისი.

◆

სენაკის მომღერალთა გუნდი ოლიმპიადის შემდეგ

სენაკის მომღერალთა გუნდმა ა.-კ. ოლიმპიადაზე მიიღო ა.-კ. ცაკის პირველი ხარისხის სიგელი და პირველი კატეგორიის ფულადი ჯილდო. გუნდს ხელმძღვანელობს მეგრული სიმღერების ცნობილი ლოტბარი **რემა შენგელია.**

სენაკის მომღერალთა გუნდს არა აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ მიუხედავათ ამისა გუნდმა შესძლო ხალხში გაბნეული ძველი მეგრული სიმღერების შეკრება და გადამუშავება.

მომღერალთა გუნდი არსებობს სენაკის ადგ. მრეწველობის სამმართველოსთან. გუნდში მონაწილეობს 35 კაცი. გუნდი შესდგება უმთავრესად მუშებისა და კოლმეურნეებისაგან. გუნდში მონაწილეობას ღებულობს და დახმარებას უწევს ცნობილი მომღერალი **ნიკო ხურცია.** გუნდს ათვისებული აქვს დღემდე 100—მდე სხვადასხვა სიმღერა, აქედან უმეტესობა მეგრული სიმღერებია. გუნდი ცდილობს უფრო გაამდიდროს რეპერტუარი ხალხური შემოქმედების ნიმუშებით.

ა.-კ. ოლიმპიადაზე გუნდმა ბევრი რამ შეიძინა, ბევრი რამ ისწავლა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გუნდზე **ოზურგეთის** და **აფხაზეთის** მომღერალთა გუნდებმა, აგრეთვე მეგრელიძის ხელმძღვანელობით მეჩონგურეთა გამოსვლამ. განზრახულია გუნდის გაძლიერება მეჩონგურეებით და მოცეკვავებით.

ოლიმპიადიდან დაბრუნებისას სადგურზე გუნდს ზეიმით შეხვდა სენაკის რაიონის პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები, მშრომელთა მასები. გუნდი მუსიკით იქნა გაცილებული სადგურიდან.

საქ. კ. პ. (ბ) სენაკის **რაიკომი, რაიაღმასკომი** და პროფკავშირი **დიდად აფასებენ** მომღერალთა გუნდის მნიშვნელობას. ადგ. მრეწველობის სამმართველო დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს გუნდს შემდგომი გაძლიერებისათვის.

ა.-კ. ოლიმპიადაზე მონაწილეობასთან დაკავშირებით გუნდი ღებულობს ვალდებულებას უფასო მომსახურეობა გაუწიოს რაიონის კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, გაგვაცნოს მათი ხალხური შემოქმედება. განზრახულია გასტროლები მეზობელ რაიონებსა და ქალაქებში.

გუნდი ემზადება საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად.

ვ. ჯ.

მარგანეცი

13 ივნისს

სასაქონლო პროდუქციის გამოშვება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.026	2.503	82,7

ვაგონების მიწოდება

მოითხოვეს	მიაწოდეს	დაიტვირთა
198	170	170

რუსთაველის თეატრი
საქ. ახალგაზრდ.
[illegible]

დღეს	17 ივნისს	18 ივნისს
12 აბ. 10 წარ. „რღვევა“	13 აბ. 10 წარ. „რღვევა“	15 აბ. 10 წარ. „რღვევა“

სალარო ღიაა 12—2 ს. 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

ოქტომბერი
6-30, 8, 9-30, 11

დამკვრელი საზაფხ.
9-10 11

დამკვრელი საზამთ.
6-30, 8, 9-30. 11,
ფოიეში ჯაზი

ეთერი საზაფხ.
9-15 11

ტემპი (საზამთ.)
სეანს. 9, 11 (საზაფხ.)

„26“-ის სახ.
სეანს. 6-30. 8-15, 10.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის
7, 7, 11

„კომინტერნი“ საზაფ.
(დიდუბე) 9, 11

ხმოვანი ფილმი
„განუმეორებელი მოჩვენება“

სახკინმრეწვის ახალი მხატვრული ფილმი
„ქემერი“
რეჟისორი—ნ. დოლიძერიძე,
ოპერატ.—შ. აფაქიძე
მთავარ როლ. სახალხო მსახ. ნ. ჩხეიძე,
მსახ. ჯორჯაძე, დაოშვილი

ახალი მხატვრული კომედია
„მიყვარხარ?“
თამარ მაკაროვას მონაწილეობით

მხატვრული ფილმი
„ზარე“
მარია ტენაზის მონაწილეობით

ხმოვანი ფილმი
ჩექა-ქუხილი“
უკანასკნელი დღეები
აქარა წავა: „ანკარა ოსმალეთის გული“

მხატვრული ფილმი
„მეფის მეზღვაურები“

საქ. განსახკომი აცხადებს, რომ 1934 წლის 1-ლ სექტემბრიდან მოხდება

მუსტექნიკუმების რეორგანიზაცია

მუსპედტექნიკუმებად, რის გამო ყველა მუსპედტექნიკუმში შემოღება ზოგად-საგანმანათლებლო საგნები. განცხადების მიღება—15-დან 25 ივლისამდე. გამოცდები იწარმოებს 25 ივლისიდან 30 ივლისამდე მუსდისციპლინებში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მუსპედტექნიკუმებში

პ. კ. მომზადების სამმართველოს უფროსი **ბერიძე**

1—1 ნ. 265

ტფილისის მცენარეთა დაცვის ტექნიკუმი

აცხადებს მიღებას 1 კურსზე (ქართულ და რუსულ სექტორზე) ტექნიკუმში მიიღება 70 კაცი, ასაკით 16—25 წლამდე, რომელთაც დასრულებული აქვთ შვიდწლედი და კოლმეურნეობის სკოლები. განცხადებას უნდა დაერთოს: 1. მოწმობა დაბადების შესახებ, 2. განათლების, 3. სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების, 4. სოციალური მდგომარეობის, 5. ჯანმრთელობის, 6. 4 ფოტოსურათი. ყველა შემომსვლელმა უნდა ჩააბაროს გამოცდები შემდეგ დისციპლინებში: მშობლიური ენა (ღერა და ზეპ.), არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, საზმეცნიერება. მიღებულთა 50 პროც. უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით. განცხადებების მიღება—ტექნიკუმის კანცელარიაში 8—3 საათამდე გამოცდები—20 აგვისტოს სწავლა 1 და მე2 კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს, მესამე კურსზე—1 ოქტომბერს.

მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 140, ტფილისის მცენარეთა დაცვის ტექნიკუმი.

1—1 **ტექნიკუმის დირექტორი ს. ბერიძე**

სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო

ინსტიტუტი

ქ. ტფილისი

1. აცხადებს სტუდენტების მიღებას 1934/35 წლის სასწავლო წელში რუსულ და ქართულ სექტორებზე.

ს. კ. ს. ი. ამზადებს შემდეგი სპეციალობის მაღალი კვალიფიკაციის აგრონომებს:

ა) ახალ სართავ და მემინდვრეობის სუბტროპიკულ კულტურათა,

ბ) ჩაის და მრავალწლიან სუბტროპიკულ კულტურათა და

გ) ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიის.

განცხადებების მიღება ყველა პირისგან, ასაკით 17—35 წლამდე, რომელთაც აქვთ მიღებული საშუალო განათლება.

ყველა მსურველმა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი საშუალო სასწავლებელი აქვს დამთავრებული (მუშფაკი, ტექნიკუმი, ათწლედი), უნდა ჩააბარონ გამოცდები:

1. სამშობლო ენაში, ფიზიკაში, ქიმიაში, საზოგადოთ მეცნიერებაში და მათემატიკაში საკავშირო ცაკთან არსებულ უმაღლეს ტექნიკურ განათლების საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

2. ტექნიკუმ დამთავრებული პირები მიიღებიან საერთო წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ განვლილი აქვთ სათანადო დადგენილებით დაწესებული ორწლიანი საწარმოო სტაჟი.

3. განცხადებას აუცილებლივ უნდა ჰქონდეს დართული დედნები შემდეგი საბუთებისა: 1. განათლების, 2. დაბადების, 3. ჯანმრთელობის, რომ არავითარი სნეულება ხელს არ შეუშლის სასწავლებელში შესასვლელად, 4. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 5. მსურველის და მისი მშობლების სოციალური წარმოშობის და სოციალური დამოკიდებულების, შესახებ, 6. შემოწმებული ანკეტა და 7. აგრეთვე შემოწმებული ორი ფოტოგრაფიული სურათი.

4. განცხადებების მიღება 15-ივნისიდან 5 აგვისტომდე შემდეგი მისამართით: ტფილისი, ვაკე, საქართველოს სას.—სამეურნეო ინსტიტუტის შენობა, სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი.

5. გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

6. მეცადინეობა დაიწყება 1934 წ. 15 სექტემბრიდან.

7. ანკეტების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში.

1—1 **ს. კ. ს. ი-ის დირექტორი ვ. კანდელაკი**

სახ. არბიტრაჟის დადგენილების თანახმად სასამართლოს აღმასრულებელი **დ. ბ. ჩიქოვანი** ამით აცხადებს, რომ 1934 წ. 19 ივნისს დღის 1 საათზე ქ. ტფილისში, სიონის ქუჩაზე

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის ბავშთა მეგობრის საწყობის ქონებას, რომელიც არის მოთავსებული ბევრი ნივთები. გაუყიდველობის შემდეგ გადაებარება მაძიებელს ქონება ესე შეფასებულია 5935 მან. გაიყიდება გოსტორგის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად არბიტრის დადგენილებით 1933 წ. 25-28/XII № 3222-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცელისა.

სასამართლოს აღმასრულებელი

1—1 3735 **დ. ჩიქოვანი**

ექიმი
ს. ა. დიმელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, თაქებს მუწუკებს, სიწითლეს, ფორების გაფართოებას ეგზემას, აქერცლას, თმის გაცვენას ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 10—6 22 163

ექიმი
ლ. ა. ფალავა
შარდ-სასქ. ორგ. სიფილისი და ვენერიული სნეულებანი მიღ. საღ. 7—9 ს. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (რკ გზ. სამმართველოს ახლოს)
5—1 ქვ. 3432

მომავალ გამოცდ ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს.

მათემატიკასა და რუსულში ვასწავლი უცოდინარებს არითმეტიკასა და ბუღჰალტერიას მოანგარიშის თანამდებობისათვის

პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 7—8 ს.

გრძელდება მიღება
უმაღლეს სასწავლ- მოსამზადებელ
კურსებზე
რუსულ და ქართულ სექტორზე სდგება აგვისტოს და იანვრისათვის მოსამზადებელი ჯგუფები.
კალინინის № 7 და აგრეთვე კრასნოგორის ქ.
1—1 № 10. საღ. 6—9 ს-მდე. 3727

თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, ა/წლის 11 ივნისიდან— რაც დადასტურებულია საქ. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მიერ—ხდება ინვ. კოოპ. არტელი „ხევი“-ს თვით

ლიკვიდაცია

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა/წლის 18 ივნისამდე ვადის გასვლის შემდეგ არავითარი საჩივრები აღარ მიიღება.
მისამართი—ვერცხლის ქ. № 33.
1—1 **ა. სიამაშვილი ლიკვიდკომი**

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის 1934 წლის 31 მაისის

დადგენილება

ზაფხულში საკვები და სასმელი პროდუქტებით ვაჭრობის წესის შესახებ

სასმელი და საკვები პროდუქტებით საცალო ვაჭრობაში პროდუქციის ხარისხის შენარჩუნების მიზნით ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ყველა საწარმოო მოვაჭრე ორგანიზაციას, რომელნიც ვაჭრობენ საკვები და სასმელი პროდუქტებით:

ა) სამი დღის ვადაში დადონ ხელშეკრულება ტფილისის მაცივართან ყინულის მიწოდების შესახებ;

ბ) დეკადის ვადაში მოაწყონ საყინულეები, საყინულეები, მაცივარი კარადები და სხვ. ყინულის, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტების გაციებისა და შენახვის საშუალების, გამოსაყენებლად.

2. აკრძალულია მაგრილებელი წყლების (ლიმონათი, სიტრო, გაზიანი წყლები, ბორჯომის წყალი, კვასი, მორსი და სხვ.) გაყიდვა, თუ იგი გაციებული არაა, გარდა ბორჯომის წყლისა, რომლის გაუციებლად გაყიდვა ნებადართულია, როცა ამას მომხმარებელი მოითხოვს.

3. დაევალოს: ა) რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს ხუთი დღის ვადაში მოაწყოს ყინულის გაყიდვა 10 აფთიაქში.

ბ) ტფილსოფლმრეწვს (ამხ. მამაცაშვილს), ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს (ამხ. ქორქაშვილს), ტფილისის საზკვებტრესტს (ამხ. დავლიანიძეს), სარეწაო საბჭოს (ამხ. ბახტაძეს) და საქკვებვაჭრობას (ამხ. ვაშაყმაძეს) წყალით მოვაჭრე ყველა წერტში მოაწყონ ყინულის გაყიდვა.

ამ დადგენილების § 1 და § 2 პუნქტ „ბ“-ს დამრღვევნი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით და გადაიხდიან ჯარიმას 100 მანეთამდე, ან გაიგზავნებიან იძულებითი სამუშაოზე 30 დღით.

5. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება ეკისრება ტფილისის ქალაქის მომარაგების განყოფილებას, რაისაბჭოებს, სანიტარული მეთვალყურეობის ორგანოს და ტფილისის მუშურ-გლეხურ მილიციას.

6. ეს დადგენილება ძალაში შედის 10 დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტრდატიანი

ტფილისის საბჭოს მდივანი კუცია

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი

„მნათობი“ № 3

შინაარსი

მ. ტოროშელიძე—ენის შესახებ. **კ. კალაძე**—ხუთი ლექ ი. **დემნა შენგელაია**—სხვა (მოთხრობა). **ილო. მოსაშვილი**—მონადირული (ლექსი) **კონსტ. გამსახურდია**—მთვარის მოტაცება (რომანი), **ე. ბაბრიცკი**—პიონერის სიკვდილი (თარგმ. გ. გაჩეჩილაძის), **არ. ჭუმბაძე**—უნახთა ბუდე (მოთხრობა), **ლეო. ქიაჩელი**—ახალი ხევსურეთი (ნარკვევი), **გიორგი ქუჩიშვილი**—ფერო გიგანტი (ლექსი) **დემნა შენგელაია**—შვიდი ძმა (ნარკვევი), **სერგო კლდიაშვილი**—ძველი და ახალი ხევსურეთი (ნარკვევი), **ლევან ასათიანი**—რომანი სამოქალაქო ომის შესახებ (წერილი), **ალ. სულავა** -სახელოვანი ბრძოლის ფურცლები (წერილი) **სიმ. ხუნდაძე**—პოეტი სარდალი (გრ. ორბელიანი) კარკვლევა, **ალ. ჯაბადარი**—მოგონებანი.

ფასი 2 მ.—50 კ.

ამ დღეებში გამოვა „მნათობი“ № 4.

დედა მარიამი, და ტასო, ძმები: კონსტანტინე, ნიკოლოზი ოჯახებით იუწყებიან, რომ 18 ივნისს საღამოს 7 ს. ვერის სასაფლაოზე შესდგება უსაყვარლესი
ალექსანდრე (შურა) ახვლედიანის
სამოქალაქო პანაშვიდი ნ. 263

1934 წლის 15 ივნისიდან იხსნება საკომისიო მაღაზია.

კომინტერნის ქ. (ყოფ. ხახანოვის) № 3.

საკომისიოდ მიიღება სხვადასხვა საიმპორტო ქონება, როგორც მაგალითად: ხალიჩები, ბეწვეული, კოსტუმები, მატერიის ნაჭრები, ფეხსაცმელი, გალანტერეა, პარფიუმერია, ჩემოდნები, საათები, წამსაზომები, ფოტო აპარატურა ოპტიკა რადიო მიმღები ტექნიკური და მუსიკალური ინსტრუმენტები, პატეფონები, გრამოფონის ფირფიტები, თოფები ველოსიპედები, ფაიფური, სურათები, მინიატიურები, ძველებური ნივთები.

საკომისიო საქონლის მფლობელებთან ყოველგვარი ანგარიშის გასწორება ხდება **ტორგსინის სასაქონლო წიგნაკებით.**

1—1 ნ. 264

მშობლები ელენა, ივანე, ძმა გივი, ბებია ზოსნიკა გუდავაძეები, ბებია, ბაბუა ეფემია, იოსები ირემაშვილები იუწყებიან პატარა
გურამი გუდავაძის
დაკარგვას. გამოსვენება 17 ივნისს პლეხანოვის შეს. № 9 5 ს. 3728

ს. ორჯონიკიძის სახელობის პარტ. რაიონული კომიტეტი და რაისაბჭო იუწყებიან ძველი ბოლშევიკის
გიორგი მიხეილის-ძე ჩოდრიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 საათზე ლენინის ქუჩა № 3-დან 3738

ანდრო და გიორგი ხოჯოლავები ულრმეს მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ, ძვირფას და მუდამ სახსოვარ გამზრდელის
ბურდღა ალანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ახალსენაკში 17 ივნისს 6 ს. 3730

დამწუხრებულნი მეუღლე ანეტა, შვილები: თამარა, მარუსია, მარგარიტა, გოგი, დები: თებრო, ელპიტე მაკალათიები იუწყებიან საყვარელ დაუვიწყარ
ერმილე გიორგის-ძე მაკალათიას
მოულოდნელად გარდაცვალებას ქ. ბაქოში 3 ივნისს. 3729

სამუდამოდ გულმოკლული მეუღლე ქეთევანი, შვილი კუკური, რძალი რუსუდანი, შვილიშვილი თეიმურაზი იუწყებიან, რომ 17 ივნისს 6-ნახ საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ვასილ ჩიკვაიძის
სამოქალაქო პანაშვიდი 3740

ტფილისში მყოფნი უახლოესი მეგობრები (ლეჩხუმიდან) ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ დაუვიწყარ მეგობრის
ვანიჩკა მანაგაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა მოხდა ვერის სასაფლაოზე 15 ივნისს 3740

ხობის რაიონის ექიმები: გოგობერიძე, პაჭკორია, გაგუა, კორბვა, კილასონია, შენგელია, ნარეშვილი, კობახიძე, მხეიძე, ქურულორია, ლონზაია იუწყებიან მეგობრის ექ. ნიშნიანიძის მეუღლის
ვერას
გარდაცვალებას ანგ. 318

დამწუხრებული ბიძა სანდრო ჩოდრიშვილი მეუღლე სოფიოთი, შვილებით: თამრო, ვასო, ლადო, რძლები: მარო, ქეთო, სიძე მ. ჯოვანი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს ძვირფასი ძმისშვილის
გიორგი ჩოდრიშვილის
დაკარგვას უფ.

დამწუხრებული მეუღლე კალისტრატე, შვილები: ბაჩანა, ნელი, თუნთული, მაზლი ლეონტი, მული თეოდორა, რძალი ვენერა ჩაგანავები იუწყებიან
ლიუდი ნიკოლეიშვილი-ჩაგანავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს ს. კეთილარში ან. 318

დამწუხრებული დედა პუპი, ძმები: იონა, აკაკი, გრიშა, ნიკოლოზი, ტარიელი, და დარეჯანი, რძლები სტელიკო, ნინა იუწყებიან
ქეთო უშვერიძის
უდროოთ დაკარგვას. დასაფლავება 17 ივნისს კოხნარის თემში 3733

სერგო და ეფროსინე შვილებით: ბაბუცა, ხუტა გოგოლაშვილები, ვანო აბაშიძე პატარა მედიკოთი მწუხარებას გამოთქვამენ დაუვიწყარ
რებეკა მიქაძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. ჩხენიში (სამტრ. რ.) 3732

ქარხანა „ქიმლაკოკრასკას“ თანამშრომლები: ნიკოლაევი, სუხიშვილი, პოლიაკოვი, დათეშიძე, ცეიტლინი, პროსტოსერდოვი, ჩალაძე, გურგენიძე, დანიშევსკი იუწყებიან, რომ სოფ. ზანათში 17 ივნისს დანიშნულია
ესტატე კოტარიას
სამოქალაქო პანაშვიდი 3734

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 213.